

6992



საქართველოს
ხელნაწილების ეროვნული ბიბლიოთეკა



ასევე

საქართველოს
ხელნაწილები



1916



თბილისი, № II.

მოზრდილთათვის.

ნაკადული

საგზაო სტანდარტი
საქართველოს
საზღვაო სტანდარტი

წელიწადი 80-XII.

№ 2.

1916წ.



მუსიკა

შინაარსი

I—მუსიკა, —სურათი	1
II—ელეგია, —ლექი დ. კლიაზიშვილისა	3
III—პატარა მეგობრები, —მიმჭრადისა	4
IV—დილა, —ლექი დათუნა აბაშიძისა	15
V—გედის სიმღერა, —ზღაპარი გიგო ნათაძისა	16
VI—სიღრმის კვლოვები, —ზღაპარი ჰანს ქრისტიან ანდერ- სენისა, თარგმანი გერმანულით ილია ნაკაშიძისა.	31
VII—ორი გამომგონი, —ივაეი ად. მირიანაშვილისა	42
VIII—ირემი, —ივანე კლიაშვილისა	44
IX—სამკურნალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურ- ნალები, წერილი მეორე, —ივ. რასტომაშვილისა	49
X—ჩვენი მტერ-მოყვარენი, —იტასა	61



ელეგია



მარტოდ-მარტო ვარ ჩემსა ოთახში...
 ფანჯრის წინ ვზივარ... გავცქერი ცასა;
 აზრი აზრს მისდევს, ირევა თავში,—
 ველარ იკვლევენ უეკლო გზასა.

მალა ზეციდან თოვლის ფიფქები
 დედამიწისკენ მოფრინვენ ნელა;
 ფრთებსა ისხამენ მწარე ფიქრები,—
 სულს ეკარგება სიმშრე.


თვალ წინ მიდგება სამშობლო
 მისი მიდამო, სახლი და კერა...
 ვფიქრობ: ვაი, თუ არის მწუხარე,
 აღარ გაისმის მისი სიმღერა!..




თვალზე მადგება ცრემლები მწარე,
 გული მიკედება... რათა ვარ შორსა?!
 მსურს მას მოვეუშრო ცრემლი მდულარე,
 და შევუერთდე მეგობარს, სწორსა!

მაგრამ შორსა ვარ... ჩემსა ოთახში,
 ფანჯრის წინ ვზივარ, გავცქერი ცასა;
 აზრი აზრს მისდევს... ირევა თავში,—
 ველარ იკვლევენ უეკლო გზასა!

დ. ელიოზიშვილი





პატარა მეგობრები



I

თელი დღე მოგზაურობით მოქანცული ცინო ძლივს-ლა მიაბიჯებდა ნახევრად ტიტველ პაწაწინა ფეხებს და გამოუცნობ ფიქრებში გართული მიბუტბუტებდა: — არ ვიცი... ვერ გამომიცენია... იქ მხეცების მეშინოდა — აქ-კი ადამიანების... ასე მგონია — ყველანი ჩვენ მოგვდევენ... სანთლებისაც მეშინია... აბა ერთი შეხედვით, როგორ წკაპ-წკაპად გამოიყურებიან: თითქოს ჩვენ გვიდარაჯებენ. რომ ბნელოდეს, ძამიკო, ხომ უკეთესი იქნება? სადმე ერთ კუნკულში მოვისვენებდით და არაფერ შეგვნიშნავდა.

კოტიკოს თითქოს არ ესმოდა დის ლაპარაკი: ფიქრებისაგან გარინდული ხმა-ამოუღებლად მიდიოდა ქვაფენილზე. მთელი ქალაქი უდაბნოდ ეჩვენებოდა. არც ერთი ნაცნობი სახე, არც ერთი ნაცნობი ხმა!.. ხალხი-კი ჯინჯველასავით ირეოდა მის გარშემო. ყველა გარბოდა, ყველა სადღაც მიეჩქარებოდა. ახალ-მოსულებს თითქოს არაფერ ამჩნევდა: არც ეკითხებოდნენ რასმეს და არც სახლისკენ ეპატივებოდნენ, თუმცა დაღამდა და სოფლოურ ვახშობობის ხანმაც მოატანა.



— ეს უზარმაზარი სახლები.. ამდენი მალაზიები... ჩურჩულვდა კოტიკო თავისთვის.

— ამდენი ხალხი, ამდენი ეტლები... ოჰ, ლმერთო, დავიღალე! დაესხდეთ სადმე, ძამიკო: მუხლები შეკეცება, — ტირილის კილოთი განაგრძო ციციწომ.

— ახლავე, დაიკო, ახლავე... ცოტა კიდევ ვიაროთ: იქნებ ვინმე ნაცნობს გადავეყაროთ. ჩვენი სოფლიდანაც ბევრნი არიან თურმე აქ. ვამიგონია — ქალაქში ღარიბების სადგომი არისო. ეგებ ჩვენც წავაწყდეთ სადმე ამისთანა სადგომს. თვალი აძლიე, დაიკო: ღარიბების სადგომი უთუოდ ძველი შენობა იქნება, — ჩამონგრეული, ჩაბნელებული, ქუჩა — ტალახიანი. უცქიროთ ყოველ მხარეს; თუ ასეთი სახლი შევნიშნეთ სადმე, ჩვენც იქ შევიდეთ.

— კარგი, ძამიკო, ძალიან კარგი... მაშ აგრე; შენ იქით იცქირე, მე-კი აქეთ...

მიდიოდნენ ბავშვები ქვაფენილზე და გაფაციცებით ვასცქეროდნენ ყოველ მხარეს, მაგრამ ამაოდ. მათ თვალწინ ერთი და იგივე სურათი იშლებოდა: გაჩირაღდებული სახლები და ელექტრონის სინათლით აბრკვევიალებული მალაზიები. ისინი მიდიოდნენ სწრაფი ნაბიჯით, უკანაც აღარ იხედებოდნენ.

შემოდგომის ქარი სისინებდა და აქა-იქ ისარივით ვარდებოდა წვრილი წვიმის წვეთები. ბავშვები საშინლად იკრუნჩებოდნენ სიცივისაგან. შიმშილისაგან მიბნედილ თვალებში თან-და-თან ეკარგებოდათ სანათლე. მხოლოდ ერთად-ერთი იმედი ჰქონდათ: აი, ახლა გამოჩნდება ისეთი სახლი, სადაც გაგვიღებენ კარებს და მიგვიღებენო.

ამ ფიქრებში გართულნი თანდათან შორდებოდნენ ქალაქის ნათელ ქუჩებს. და აი, მათი სანატრელი ტალახიანი ქუ-



ჩაც! — უთუოდ აქ იქნება ძამიკო! — სიხარულით ციციანომ და მარდად ჩადგა წუმბეში ფეხები მუხლებამდის. ერთ წუთსაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ ფეხები გაეწმინდა. თითქოს სახლში მიდიოდნენ, სადაც მათ გასწმენდნენ, აკმევდნენ და მოასვენებდნენ.

ციციანომ შევლივით ისკუპა და აღტაცებით მიადგა ერთ ნახევრად დანგრეულ ჭიშკარს, მაგრამ ერთბაშად შეკრთა; მუხლები აუკანკალდა და უკანვე გამობრუნდა. „ამ!.. ამ!.. ამ!“.. მოესმა საშინელი ღრიალი ძაღლებისა. ამ ხმას მევზობლის ძაღლებიც აჰყვნენ და ირგვლივ ეზოებიდანაც ასტყდა ყეფა. კოტიკო არჩილივით იდგა შუა ქუჩაზე და გაჰყურებდა ყოველ მხარეს: არ იცოდა, რომელ სახლზე მიმდგარიყო, რომელ სახლის კარებზე დაეკაკუნებია გამხდარი, სიცივისაგან აკანკალებული თითებით, ან რომელი სახლი უნდა ყოფილიყო იმათ შორის ღარიბების სადგომი, რომელზედაც ფიქრი, სოფლიდან რომ წამოვიდნენ, ასე განუწყვეტლად უტრიალებდა თავში.

გაგონილი ამბავი იმის შესახებ, რომ ქალაქში არის ღარიბებისათვის განსაკუთრებული საცხოვრებელი ბინა, რაღაც საოცნებო სურათად ეხატებოდა კოტიკოს; იგი იდგა და გაჰყურებდა ყოველ მხარეს. ციციანო-კი დაჟინებით ევედრებოდა: — ძამიკო, შევიდეთ... იქ შევიდეთ! ძაღლების მეშინია, მეშინიაო... ქვითინებდა გოგონა და გადაწყვეტით უთითებდა ერთ პატარა დაბალ ქოხზე, რომლის ჯუჯრუტანებიდან ნათლად მოჩანდა ბუხარში ანთებული ცეცხლი.

— ჰა, რა ვქნა, შევიდეთ! — საშინლად მღელვარე ხმით წამოიძახა კოტიკომ, და ბავშვები მიადგნენ ქოხის კარებს. კარებში იმათ გამოვება მოხუცი სტეფანე, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა მოქნილი ენითა და წაწყვეტილი ფეხით.



— მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით. საიდან მოდით ნილხართ, პატარა შტრედებო, სადაურები ხართ?!— კარებში ფეხის შედგმისთანავე დაუწყო სტეფანემ გამოკითხვა ბავშვებს და მორთო რაღაც ახირებული ხარხარი.— ახალ მოსულებში, შორცხვად დაუწყეს ქოხს თვალღერება. ერთ კუთხეში ვიღაც დედაკაცი იწვა ძონძეულის ლოგინზე და ძალზე ხვრინავდა. მეორე კუთხეში ბრმა მოხუცი ჩამომჯდარიყო და ჩიბუხით თუთუნს აბოლებდა. გარეგნობის მიხედვით რაქველი უნდა ყოფილიყო. ცეცხლის პირას-კი თავი მოეყარათ პატარა გოგო— ბიჭებს და ხითხითებდნენ, თანაც იკვებნიდნენ: რომელმა მეტი ვიშოვეთ დღესაო. ბავშვები რომ დაინახეს, მორთეს ჩურჩული და ცნობის-მოყვარეობით დაუწყეს ცქერა. სტეფანემ ცეცხლს შეუკეთა და უბრძანა ბავშვებს დაწოლილიყვნენ თავიანთ ძონძეულის ლოგინში. ბავშვებმა დაუყოვნებლივ აასრულეს სტეფანეს ბრძანება.

ცეცხლის პირას დარჩნენ სტუმრები და მათ შორის კიდევ ერთი ბავშვი— თიგრი. თიგრი შორიდან გადმოხვეწილი ობოლი იყო. მას არ ჰქონდა ქვეშაგები, — მხოლოდ ძველი ფარაჯის ნაგლეჯს აგებდა ცეცხლის პირას და ზედ წვებოდა; თან ნაღვლიანად ლილინებდა და თვალს არ აშორებდა ბუხრის სიღრმეში ოდნავ მშუტავ ცეცხლს, სანამ ის სრულიად არ მიქრებოდა. თიგრი სტეფანემ იმას მეტ-სახელად დაარქვა, რადგან ის მეტისმეტი მოუსვენარი ბავშვი იყო. თიგრის სახის მეტყველება და თავისუფალი მიხვრა-მოხვრა სავსებით გამოხატავდა ლალი ბუნების თავისუფალ შვილს. მხოლოდ ღრმა გრძნობით სავსე შავ თვალებიდან ნათლად მოსჩანდა უკმაყოფილება. საშინელი იყო ეს ორი თვალი ბავშვისა, რომელიც ისეთი წყრომით მიაჩერდებოდა ადამიანს, თითქოს ეუბნებოდა: — მეც ადამიანის შვილი ვარ, მეც მსურს ყველა ის, რაც აუცილებლად საჭიროა ყველა ადამიანისთვის: მომეცი... მომეციო!

დიად, საშინელი იყო ეს ორი თვალი... და ახლაც ღრმა საიდუმლოებით მოცული მისჩერებოდა ბავშვი პატარა სტუმრებს და სტეფანეს თვითვეულ სიტყვას ტუჩების ცმაცუნით იმეორებდა: „სადაურები ხართ, საიდან მოსულხართ, დედ-მამა გყავთ თუ არა, და სხვ.“

— საწყალი ბავშვები!..—თავისთვის ჩურჩულებდა სტეფანე:—როგორ უგზო-უკვლოდ გადმოხვეწილან... მაშ რბლები ხართ?

— დიად, ბატონო, მღვდელმა გამოგვიცხადა: მამა-თქვენმა შორეულ აღმოსავლეთში განუტევა სული, ავაზაკებმა მოჰკლესო... მე კი არ ვიცი, რისთვის იყო საჭირო მამას სიკვდილი; ან რად უნდა მოჰკლას კაცმა კაცი...

— რად უნდა მოჰკლას კაცმა კაცი,—თავისთვის ჩურჩულებდა თიგრი.

— აღზად ფული ექნებოდა, შეილო!—დაფიქრების შემდეგ წარმოსთქვა სტეფანემ.

— არა, ბატონო, მამა მუშა კაცი იყო. ჰო, დედაც აგერ ახლა გადაგვეცვალა.

— საუკუნოდ იყოს ხსენება მათი, ჩემო პატარებო,—მთქნარებით განაგრძო სტეფანემ.—ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა.

— მაშ ესენიც აქ იმათხოვრებენ?—ცნობისმოყვარეობით იკითხა თიგრი, რომელიც ამ დროს ბუბრის ერთ მხარეს დაფლეთილ ფარაჯაზე წამოწოლილიყო და თავი ფიცრის საჯდომზე დაეყრდნო.

— არა, არა, ჩვენ მათხოვრები არა ვართ!—ერთმანეთის შეცილებით წამოიძახეს ბავშვებმა.

კოტიკოს საშინელმა ჟრუანტელმა დაურბინა ტანში: მოაგონდა დღევანდელ დღეს ხეტიალი და ხვალ დილის მოლოდინმა თავხარი დასცა.



— ბარემ მეც არ მინდოდა მათხოვრობა, — ჩუმად წაი-
დუღუნა თიგრა და ზევით, ქერისკენ ააპყრო თვალები.

ქობში მყუდროება გამეფდა. სტეფანემ თავის წაწყვეტილ ფეხზე ფრთხილად შემოიძრო დახვეული ჩერები და უპატრო-
ნო მკვდარივით გაიშხლართა ფიცრის ლოგინზე. თიგრი დიდ-
ხანს იტკირებოდა ზევით, დაფიქრებული; შემდეგ მან დინ-
ჯად წამოსწია თავი, იდაყვზე დაეყრდნო და მტკიცედ წარ-
მოსთქვა:

— აღარ ვიმათხოვრებ... სიტყვას ვსდებ, რომ აღარ ვი-
მათხოვრებ!

— განა შენ მათხოვრობ, ძამია?! — შენიშნა კოტიკომ.

— ვაი სირცხვილო, მერე ასეთი კაი ბიჭი... დაუმატა
ციცინომ.

თიგრი გაწითლდა, ხელები მოკრუნჩხა და გვერდზე გა-
დაბრუნდა. ქობში კვლავ მყუდროება გამეფდა. ციცინო და
კოტიკო ერთმანეთზე მიყრდნობილნი იჯდნენ ბუხრის წინ.
ციცინო სთვლემდა. კოტიკოს-კი განუყრელად უტრიალებდა
თავში მომავალი დღის ფიქრი; მაგრამ მომავალი დღე რას
მოუტანდა ობლებს?

II

ვაზაფხულის ღამეში დილა იყო. ამომავალი მზე ჯერ
კიდევ მთის მწვერვალიდან დაჰყურებდა ქალაქს. აღმოსავლეთ-
თის წყნარი ნიაფი სასიამოვნოდ არხევდა ყვავილებით შეფი-
ფქულ ხის ტოტებს, შემდეგ მწვანე მდელოს ჩაურბენდა და
სწრაფი ფრენით გაიქრებოდა ქუჩისკენ. გამეღელ-გამომე-
ღელნი ხარბად ეწაფებოდნენ ამ გრძნობის დამტკბობ სურ-
ნელოვან ჰაერს.



ქუჩაზე ხალხის ფუსფუსი და მოძრაობა იყო: მანქანები, საქმეზე მიდიოდნენ მოხელეები, მუშები, ვაქრები, მკერავი ქალები, მასწავლებლები, მოწაფეები...

მზე მალლა-მალლა იწვედა ლურჯი ცის ტატნობზე და ცხელ მუქს ჰფენდა ქალაქის ქუჩებს. მიმოსვლა თანდათან შესწყდა. ქუჩებზე ხალხი შემცირდა.

— გამარჯობა შენი, ამხანაგო, გამარჯობა!.. ღიმილით შესძახა ზურგს უკანიდან პატარა გოგონამ თიგრს, რომელიც ბრმა რაქველს მიუძღოდა წინ. თიგრი შეკრთა. ასეთ ტკბილ სიტყვას არავისგან არ მოელოდა. ათრთოლებულმა მოიხედა უკან და სახტად დარჩა, როდესაც საწიგნე-ვადაკიდული პატარა ციციწო გამოესახა თვალწინ.

— აკი ამბობდი—არ ვიმათხოვრებო!—საყვედურის კილოთი წასჩურჩულა ციციწომ.

თიგრი აირია, სახე წამოუწითლდა და თვალები აეცრემლა. იგი ოდნავ შედგა... და შემდეგ მოულოდნელად გაუქნია ბრმა რაქველს ხელი:

— არ ვიმათხოვრებ, არა... წადი, იარე, სადაც გინდა.

მოულოდნელ ხელის შეხებისაგან ბრმა რაქველი წაბარბაცდა და იქვე გზის პირად მტვერში გაიშხლართა. თიგრი გაიქცა. ნიავევით მიჰქროდა: ქუჩის ბოლოზე ძლივს და მოსჩანდა. ასე გაირბინა მან რამდენიმე მოსახვევი, მდინარის პირად ჩავიდა და უღონოდ ქვებზე დაეცა. თიგრი დიდხანს თრთოდა... გული საშინლად უძგერდა. სიცხისაგან მოელვარე თვალებს გიჟივით აბრიალებდა ყოველ მხარეს, თითქოს ვილაკას დაეძებდა. გარშემო არავინ იყო. მხოლოდ მდინარე ჩვეულებრივად მოდუღუნებდა.

თიგრი იჯდა და მდინარის დუღუნს ყურს უგდებდა. ბავშვის გულში ორი გრძნობა ტრიალებდა: სიტკბო და სიმწარე. მდინარის დუღუნი აგონებდა უზრუნველ ყოფას, მოსვე-

ნებას, სამუდამო დაღუმებას... ქალიჭი კი ეძახოდა შრომა-
 მოძრაობისკენ, განუწყვეტლად მფეთქავ სიცოცხლისაკენ
 იწყვედა.

მეგრამ თიგრს არ შეეძლო ქალიჭში დაპრუნება, რად-
 გან იქ ისევ მათხოვრობა ელოდა, ისევ წაიძლოლებდა წინ
 მისი პატრონი—ბრმა რაქველი; და ეს მას არ შეეძლო, არ
 შეეძლო იმიტომ, რომ ისევ შეხვდებოდა პატარა ციცინო და
 დასცინებდა, თან უსაყვედურებდა: „ამისთანა კაი ბიჭი რა-
 ტომ მათხოვრობო“. თიგრს ბავშურმა თავმოწონებამ დასძ-
 ლი და მდინარისკენ გადაიხარა. კასკას წყალში მან ნათლად
 დაინახა თავისი სახის ანარეკლი: ლამაზი, მომსხო თვალები,
 ზომიერად მოკუმული ტუჩები, მაღალ შუბლზე გადმოყრილი
 ხუჭუჭი თმა, და გაიფიქრა: „მე რად უნდა ვიმათხოვრო, —მა-
 ხინჯი ხომ არა ვარო“?... და მორთო გულსაკლავი ქვითინი.
 შემდეგ ცრემლი მოიწმინდა და გაბრუებული, უაზროდ გაჰყუ-
 რებდა არე-პარეს. ამ დროს შემოესმა ვილაციის წელი ლიღინი:

წავალ მინდვრად, დავკრებ ყვავილს,
 იას ვნახავ მომღიმარეს,
 და ზედ ვპოვებ ობოლ გრძნობის
 მოცქრიალე ცრემლს მღულარეს.

წავალ კიდევ, ვესტუმრები
 მოჩუხჩუხებ მთის მდინარეს,
 მას ვაეანდობ ჩემ გულის დარდს,
 ამ ცხოვრების ამბებს მწარეს...

თიგრმა მოიხედა და დაინახა მის გვერდით მისი ტოლი
 ქალი; მხარზე ცარიელი ლიტრა გამოედო და გასცქეროდა
 მდინარის ნაპირს.

—ამომიღე, ძამია, ერთი ლიტრა წყალი!—



ღიმილით სთხოვა პატარა ქალმა. თიგრმა სწრაფად წამოაგლო ლიტრას ხელი, აავსო და ისევ შეუდგა მხარზე. წყლიანი ლიტრა მეტად მძიმე გამოდგა. გოგონამ ფეხი ველარ მოიცივალა, მოუბრუნდა თიგრს და ისევ გაუღიმა: —

— ჩემო ძამია, მომეხმარე, წამაღებინე ეს ოხერი... ბინა მაინც აქეთ გეჭნება...

ამ ტკბილმა თხოვნამ სრულიად გადაავიწყა თიგრს მწარე ფიქრები და ლიტრით ხელში გაჰყვა პატარა ქალს.

ამნაირად თიგრი დაუბრუნდა ქალაქს.

კოტიკო ამ დროს ქალაქში დაბინავებული იყო და შრომის ქირასაც ღებულობდა.

პატარა მკითხველებო, თქვენ აღბათ გასურთ შეიტყოთ, როგორ მოხვდა ციციხო სკოლაში. ჰოდა, თუ გასურთ, ისიც გემახსოვრებათ, თუ სად გაათია მან და კოტიკომ პირველი ღამე ქალაქში.

მეორე დღით სტეფანემ ტკბილად მიმართა მათ:

— ჩვენო პატარა სტუმრებო, ჩვენ ყველა მათხოვრები ვართ. ეს ქოხი-კი ამ ბრმა რაჭველის არის. ეს ბრმა კაცი, მართალია, არავის ხედავს, მაგრამ ყველა კი უყვარს. თქვენც აღრე შეგიყვარებს.. ბევრი არაფერი უნდა: ხან ერთმა წაუძებით წინ, და ხან მეორემ. სამაგიეროდ საკმელსაც გაკმევს და ღამესაც გაგათევიებს. ერთმა თქვენგანმა კი ცალკე უნდა იმათხოვროს. ქვეყანაზე ბევრი კეთილი ადამიანია. მოგცემენ მოწყალებას... ჩვენ ყველანი მათხოვრობით ვცხოვრობთ:

ამ სიტყვებით გამოისტუმრა სტეფანემ ბავშვები ქუჩისკენ.

კოტიკო დაფიქრებული უსმენდა სტეფანეს და გული ზიზღით ევსებოდა.



— რაო, ძამია, იმ უფებო კაცმა რა გვითხრა:—
 რეთო?! ჰმ.. რა უსირცხვილო ყოფილა!..

გულ-აჩუყებულმა ციციანომ უთხრა ძმას:

— მართლა ხომ არ ვიმათხოვრებთ, ძამია?

— არა, დაიკო, მათხოვრობა რა პატიოსნებაა: ჩვენ ხომ
 მახინჯები არა ვართ! საქმის გაკეთებაც შეგვიძლია. მართლა,
 ციციანო, შენ რა საქმე შეგიძლია გააკეთო?

— მე, ძამია, ყველაფერი... სახლს გამოვგვი, ქურქელს
 დავრეცხ, ბავშვს ვათამაშებ, ეზოს დაფვვი, ცეცხლს ავან-
 თებ... ერთი სიტყვით—ყველაფერს გავაკეთებ... ყველაფერს...
 ოღონდ...

— ოღონდ რა?

— მათხოვრობა არ შემიძლია, ძამია...

— ჰმ!.. მეც ყველაფრის გაკეთება შემიძლია... კოტა
 სიჩუმის შემდეგ დინჯად წარმოსთქვა კოტიკომ და ნაბიჯს
 ბოუმატა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი ქვაფენილზე მი-
 ჰქროდნენ და კვლავ სწრაფად გადადიოდნენ ქუჩიდან ქუ-
 ჩაზე.

შემოდგომის მოკლე დღე ხელად ჩაქრა. საღამოს ბინ-
 დი ისევ დაეცა ქალაქს. ქარი აღარ ჰქროდა. ნაწვიმარი ცა
 მოკრიალებულიყო. მკრთალად მონარნარე ცის კაბადონზე
 ჯერ კიდევ შორს-შორს მოსჩანდა ოღნავ მიმქრალი ვარსკე-
 ლაფები. საშინლად ციოდა... ყინვის სუსხი ძვალსა და რბილს
 უწიწენიდა ჩვენ პატარა მგზავრებს.

— ძამიკო.. ძამიკო.. კანკალით ეკვროდა ციციანო ძმას.
 კოტიკოს აღმური უტრიალებდა გულში. მას თითქოს არც
 სციოდა და არც შიოდა. ერთად-ერთი მისი საზრუნავი ის
 იყო, რომ დისთვის როგორმე ეშველა რამე. ავითონ არა-
 ფრის აღარ ეშინოდა; არც სიკვდილი ენაღვლებოდა.

— კოტიკო, ძამიკო, წავიდეთ... იქ წავიდეთ: ცეცხლ-
 თან შაინც გავთბებით.

— მხოლოდ ერთი პირობით: თუ ვიმათხოვრებთ?

— წავიდეთ და უთხრათ, რომ ჩვენ მათხოვრები არა ვართ. როცა ფულს ვიშოვით, გადაუხდით... ძამიკო!..

— ციციწო! — შესძახა ბრახ-მორეულმა კოტიკომ: — არ გირჩევნია მოვკვდეთ, ვიდრე ვიმართხოვროთ?!

ციცინომ არა უპასუხა რა... მხოლოდ ფეხი ააჩქარა, თითქოს აგვიანდებოდა სახლში მისვლა; იქ-ქი უცდიდნენ მშობლები, ნაცნობ-მეგობრები და გამზადებული ვახშამი კოტიკოც თან მისდევდა.

მიმქრალი

(დასასრული იქნება)





ღ ი ლ ა



ილა იყო. ცის კიდევებს
ოქროს ფერი გადაესხა,
და მთის მწვერვალს ნისლის ჩადრი
ზედ ლამაზად წამოესხა.

ბულბული ვარდს, ახლად გაშლილს,
ეტრფოდა და უმღეროდა,
ეს აქ... მაგრამ იქ კი შორად
კაცის სისხლი იღვრებოდა.
იქ მზის ნაცვლად—თოფის ალი
და ყორანი სისხლით მთვრალი,
ბრძოლის გრგვინვა, ბრძოლის ალი.

დათუნა აბაშიძე





გედის სიმღერა

(ზღაპარი)



არიდან მეფის სასახლე ზღვის პირად მიუვალ
 კლდეზე იყო აგებული. მისი კოშკები ზღვის
 თვალ-უწვდენელ სივრცეს ამაყად გასცქეროდნენ,
 მიუვალნი და ძლიერნი. არა-ერთხელ მისულან
 მათზე იერიშით ზღვაოსნები და მეკობრეები,
 მაგრამ მიახლოვებაც კი ვერ გაუბედნიათ. დილით თოვლიან
 მთის აღმასებიდან ასხლექტილი და საღამოთი ზღვის ფირუზ



ტალღებში განბანილი მზის სხივები ამ სრა-სასახლეს ბას უფრო ჰმატებდნენ. შუაში ამართული ბროლის კოშკი სულ სხვა-და-სხვა ფერად ანათებდა. ღამითაც კი ზღვაზე მოსიარულეს იგი ხან მშვიდ განცხრომას და მყუდრო დასვენებას ჰპირდებოდა, ხან იღუმალი ნეტარებით თავისაკენ იზიდავდა.

მაგრამ ვერცერთი თამამი მეზღვაური ვერ გაბედავდა ნაპირთან მიახლოვებას, რადგანაც საშინელი სალი კლდეები იყო ამართული იმ ადგილას. ზღვის ძირი და მისი ნაპირები გამოქვაბულებით იყო სავსე და იქ არცერთი ნაფი არ გადარჩებოდა დაუმსხვრეველი. სირინოზები გარს შემოეხვეოდნენ ხოლმე სიცილით და კასკასით, ნავს კლდეებისაკენ გაიტაცებდნენ, ზღვაში ჩასძირავდნენ, მეზღვაურს კი თავის გამოქვაბულისაკენ გააქანებდნენ. მხოლოდ ერთხელ გმირმა იაზონმა გაჰბედა ამ ნაპირზე გამოსვლა.

ამ ფრიალოს წვერზე ბროლის კოშკის წინ იდგა საროს მზგავსი, ცამდის აბჯენილი ალვის ხე. ამ ხეზე ეკიდა ოდესღაც ოქროს ვერძი, რომელიც იაზონმა მოიტაცა.

ვერძის მოტაცების შემდეგ ქმუნვამ და გლოვამ მოიკვამეს სასახლეც და მისი მიდამოც.

რალაც უზინარი და გაუგებარი სული დატრიალდა თითქოს ჰაერში. ფერად-ფერადად აყვავებული მდელიო გაინაბა, ყვავილებმა სულთქმა შესწყვიტეს და ჰაერს, მომხიბლავი სურნელების მაგიერად, მომწამვლელი ოხშივარი მოსდეს. გულს სწყლოვდა და წვეთ-წვეთად აპარებდა რალაც შხამს მათი ალერსი და მათი ყნოსვა. მაგრამ სამაგიეროდ საღამო ეამს, როდესაც ზღვაში ჩამავალი მზე ვარდისფერ სხივებს გადმოსტყორცნიდა სასახლისაკენ და ბროლის კოშკს თამაშს დაუწყებდა, ალვის ხის ტოტებში გახლართული ნისლი უცნაურად განათ-



დებოდა და ზედ შვენებით მხიბლავი ვაჟის ქაჩუყვამღვი-
ხატებოდა.

— მზის შვილი მოვიდაო, — იტყოდნენ ხოლმე სასახლის
მცხოვრებნი.

სარიდანის უფროსი ქალი ამ მზის შვილს თვალს არ
აშორებდა და მის მარჯნისფერ ტუჩებს მხოლოდ მაშინ დაე-
ტყობოდა ხოლმე ოდნავი ღიმილი, თუმცა მოწყენილი, მა-
გრამ მაინც ღიმილი.

იღვა ქალი ბროლის კოშკის სარკმელთან და უცქერო-
და მზის ვაჟს, ვიდრე მზე სულ არ ჩაინთქებოდა უძირო ზღვა-
ში და მზის ვატიც არ გაქრებოდა. მაშინ სარიდანის ქალი
უღონოდ დაეცემოდა თავის სარეცელზე და ასე არც მძინა-
რი და არც მღვიძარი, არც ცოცხალი და არც მკვდარი, გაი-
ტარებდა ღამეს, რომ მეორე დღეს ისევ მზის შვილის ლო-
დინით ესულდგმულა.

ამბობენ, სარიდან მეფის გვარეულობაში ყველა უფროს
ქალებს ეს ბედი სდევნიდათო.

ოდესღაც თურმე სარიდან მეფის ბებუის ბებიაც ასეთ
მდგომარეობაში ყოფილა, ვიდრე ბოლოს ზღვაში არ გადა-
ვარდნილა ამ ფრიალოდან და იქ არ დაღუპულა.

ეს ქალი სარიდან მეფის პაპის პაპას ზღვის პირას ერთ
ფრიალო კლდეზე ეპოვნა და იმის სილამაზით ისე მოხიბლუ-
ლიყო, რომ მიუვალ კლდეზე ასულიყო და ქალი თავის სა-
სახლეში წაეყვანა.

ეს ქალი თავის სამშობლოში მთის კალთებზე, ელევზი-
ნის მისტერიების დროს ყვავილების გვირგვინით შემკული,
განმარტოებით სეირნობდა, რადგანაც ეჯავრებოდა ის უმზგავ-
სი ბახუსი, რომელიც მის ამხანაგ ქალებთან მხიარულობდა.
სეირნობდა ქალი და თან მთის ყვავილებს ჰკრფავდა და
გვირგვინებსა სწნავდა. ერთხელ ერთი საუცხოო გვირგვინი
დასწნა: ია, იასამანი, ენძელა, ნარგიზი — ყველა შიგ ჩააწნა

და ისე შეახაბა გვირგვინი, რომ თვითონვე აღტაცებაში მოვიდა.

— ვის დაეუშვებო თავი ამ გვირგვინით?— გრძობა-მორევით გაიფიქრა ქალმა.— ვის დაეუშვებო, ვის? მერე აიხედა ზეცისკენ, მზეს შეჭხედა და მიმართა აპოლოსს.

— შენი იყოს ეს გვირგვინი, შენთვის დაეწიანი, ბრწყინვალე აპოლოსო. სთქვა და გვირგვინი მზისაკენ აისროლა.

ამ დროს კიდან ჩამოფრინდა თვით მზის შვილი, თვალწარმტაცი, როგორც სიზმარი, გულის გამათბობელი, როგორც მზის სხივი.

ქალმა ნახევრად გრძობა დაკარგა, გული საამურად აუღერდა, თვალეზი მიეღულა. მზის შვილი მის თვალეზს შეეხო ბაგეებით და შემდეგ თავის სალამურზე საუცხოო სიმღერა დაუკრა.

როდესაც ქალი გონს მოვიდა, მზის შვილი უკვე აღარ იყო. არც-მარც მიმკრთალიყო. მხოლოდ შორს დასავლეთისაკენ ძლივს მოსჩანდა მოღიმარი სახე მზის შვილისა.

ქალს გული შეეკუმშა, რული მოეკიდა და ერთი მსხვილი კრემლი გადმოკურდა მის თვალდან.

— აღმასად ვაქცევ მაგ კრემლს, შეინახე და გახსოვდე,— მოესმა ქალს ხმა.

კრემლი ნარგიზის ფოთოლს დაეცა და აღმასად იქცა. ქალმა ეს ფოთოლი შეინახა.

—

გავიდა რამდენიმე წელიწადი. მზის შვილის სახე ქალს სამუდამოდ გულში და გონებაში ჩარჩა. გულზე ერთხელ და ერთხელ მოდებული რული არ შორდებოდა. არავითარ მხიარულებასა და ზეიმში იგი არ ერეოდა. შავ მანდილ-მოხვეული ქალი აჩრდილივით დადიოდა თავის მამის სასახლის დარბაზებში, მხოლოდ ხანდახან გამოვიდოდა ზღვის პირას და მწუხარებით გასცქერდა ზღვის სივრცეს, თითქოს მის გა-



დაღმა რამე სანუგეშო ეგულებოდა. ერთად ერთად ^{ერქუცნულნი} ~~სანუგეშო~~ ^{სანუგეშო} ~~მარ~~ ^{მარ} ბელი მას მხოლოდ აღმასის კრემლი ჰქონდა ნარგიზის ფოტოლზე. ამოიღებდა ქალი ამ ფოტოს და უცქერდა.



აღმასის თვალს რომ მზეს მიუყენებდა, შიგ მზის შვილის სახე იხატებოდა. ჩასცქეროდა ქალი მის სახეს და ოცნებობდა იმ ბედნიერ წუთებზე, როდესაც ეს დაუფასებელი საჩუქარი მიიღო. ზღვის ნიაფი მის შავ მანდილს ოდნავ აფრიალებდა. მისი რულით შეპყრობილი ზღვაც მიწყნარდებოდა და ოდნავლა აჩქეფებდა თავის ტალღებს, თითქოს ცდილობდა თავისი ტკბილი ზღაპრებით ნუგეში ეცა ქალისთვის. ზღვის სირინოზნი მოსპობდნენ თავ-დაუქერელ ცეკვას და ხარხარს და ქალის მწუხარე გულის ცემას უგდებდნენ ყურს, როგორც სასიამოვნო რულის მომგვრელ ზღაპარს.



ერთხელ იმ კუნძულს, სადაც ეს ქალი ცხოვრობდა, ვაქრები ეწვივნენ. ამ ქალის მშვენიერებით მოხიბლულმა ვაქრებმა ზღვის პირზე სეირნობის დროს მოიტაცეს იგი და შორს წაიყვანეს გასასყიდად.


მაგრამ გზაზე ქარიშხალი ამოვარდა და მათი გემი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე მიაგდო.

ერთ საშინელ ღამეს, როდესაც ზღვის ღრიალი და ტალღების ქაფი ცასა სწვდებოდა, სარიდანის პაპის პაპამ სასახლიდან შეამჩნია ზღვაში რაღაც სინათლე. იგი ხან ქრებოდა, თითქოს მიწამ უყო პირიო, ხან-კი ცის კიდეზე გამოჩნდებოდა, ხან ქრებოდა, ხან ძლიერდებოდა. ბოლოს, როდესაც ნათელი ნაპირს მიუახლოვდა, იგი სადღაც გაქრა. გაისმა ჰაერში ხალხის ყვირილი და შემდეგ არც სინათლე გამოჩენილა და არც ხალხის ხმა ვისმე გაუგონია.

მეორე დღეს, როდესაც ბუშბერაზი მთის მკლავზე გადასვენებული თვის მკერდი ოდნავლა ფეთქამდა და კვლავ შუბლ-შენაოკებულ და ეხლა ღიმილით განსხივებულ თოვლიან მთას თავის ნაზ სულთქმას უგზავნიდა, მეზღვაურები შეცურდნენ ზღვაში, კლდეებს გარშემო მოუარეს და ერთ წამოწვენილ კლდეზე დაინახეს საუცხოვოდ მშვენივარესახის ქალი. ეგდო იგი ტანისამოს-შემოფლეთილი უგრძობლად ამ კლდეზე, ტალღისაგან გადმოსროლილი. მენავეებს სურდათ კლდიდან გადმოეტანათ, მაგრამ ვერ გაბედეს ნაპირთან მიახლოვება.

მეფემ ეს რომ გაიგო, თვითონ ჩაჯდა ნავში, თავი სასიკვდილოდ გადასდო და რაღაც სასწაულით მოუყვანა ნავი ცხვირ-წამოწვენილ კლდეს. გაბედულებამ დასძლია სტიქიონის მრისხანება.

მეფემ ეს ქალი წამოიყვანა, თავის სასახლეში შეიყვანა და ცოლად შეირთო.



ქალი ბედს დამორჩილდა. ან მეტი რა ძალა ჰქონდა? მალე შეეჩვია კიდევ თავის ახალ მდგომარეობას, მაგრამ გულიდან რული არ მოშორებია. პირიქით სამშობლოს დაშორებამ გაუორკვეცა მწუხარება, მით უმეტეს, რომ აღმასის

სრემლიანი ნარგიზის ფოთოლი ზღვაზე ღელვისა და ღელის
ღებთან ბრძოლის დროს დაჰქარგოდა.

ერთად ერთი მისი ნუგეში მხოლოდ იმაში მდგომარეობ-
და, რომ მზის ჩასვლის დროს იგი ზღვის პირას გადადგე-
ბოდა შე-მანდილ-მოხვეული და გასცქერდა ჩამავალ მზეს და
მის ვარდისფერ სხივებზე მოეღვარე ზღვის პირს. ჰო და ი
ერთ საღამოს, როდესაც იგი ჩვეულებისამერ ზღვის პირად
იდგა, იმ აღვის ხის წვეროზე, რომელზედაც ოდესღაც ოქ-
როს ვერძი ეკიდა, მას ხელმეორედ მოეჩვენა მზის შვილი.
ამის შემდეგ არც ერთ საღამოს არ მოშორებია უცხოელი
ქალი ამ აღვის ხეს. იდგა და შესცქეროდა მას სასოებით
და მოლოდინით. ღრუბლიან დღეს იგი ვერა ნახავდა ხოლმე
მზის შვილის ხატებას და ეს დღე მისთვის მოწამლული იყო.



გავიდა ასე მრავალი წელი, და ერთხელ, როდესაც მას
მზის შვილის ნახვის სურვილი განსაკუთრებით ძლიერ გაე-



ღვიძა, მზის შვილის ცქერამ იგი ისე გაიტაცა, რომ, როდესაც დაბინდა და ჩვენება ჯერ შეირყა და მერე ხის მწვერვალს მოშორდა, იგი თან გაჰყვა მას ხელ-აპრობილი და ფრიალოში გადაიჩნხა.

დარჩა მას ქალიშვილი და ამასაც, ასაკში რომ შევიდა, იგივე დაემართა.

სარიდან მეფის უმცროსი ქალიშვილიც ამავე სენით იყო შეპყრობილი, და სარიდანი შიშით ელოდა იმ დღეს, როდესაც მისი ქალი ისევე დაიღუპებოდა, როგორც მისიდა, მამიდა და სხვანი. მწარედ ჩაფიქრებულიყო სარიდანი და არ იცოდა, რითი აეცილებინა თავიდან უბედურება. ბოლოს, რომ დაინახა—საშველი არსაიდან არისო, ალვის ხე მოაქრეინა და ამის შემდეგ ჩვენება აღარ მიჰკარებია იმ ადგილს. მაგრამ თქვენ მტერს და ავის მსურველს ეშველოს ისე, როგორც ამან სარიდან მეფის ქალს უშველა: როდესაც ქალმა გაიგო ალვის ხის მოკრის ამბავი, გული შეუწყუნდა. ბევრი ეცადეს, მაგრამ ქალი ვერ მოაბრუნეს. დაასვენეს იგი ბროლის კოშკში, დიდ დარბაზში, და დაახვიეს ექიმები. ვერც ექიმებმა უშველეს რამე. დაიძინა ქალმა და მას შემდეგ აღარ გამოჰღვიძებია.

სარიდანის სრა-სასახლე მთლად შავებით შეიმოსა. ქვეყანას საშინელი ჯანყი დააწვა. მას შემდეგ ბროლის კოშკიც აღარ აპრიანებულა ფერად-ფერადად. ყოველ საღამოს ნისლი ისე ჩამოაწვებოდა ქვეყანას, რომ ადამიანები ერთი-მეორეს რამდენსამე ნაბიჯზე ვერ გაარჩევდნენ. ეინელავდა გაუთავებლად; ცას ღრუბლები არ მოშორებია. მზე ათასში ერთხელ სპილენძის სინივით თუ გამოჩნდებოდა ხოლმე. თითქოს მთელი ქვეყანა ძაძვებით შეიმოსა. თვით სარიდან მეფეც შავმა ფიქრებმა შეიპყრო. შავებით შემოსილი დადიოდა განუ-

წვეტილი აივანზე და უიმედოდ გასკეროდა ტყვიის ჯამბოჯს
 ნისლს.

ბინდ-ბუნდი რომ შემოეკვროდა ქვეყანას, ძაძებში გა-
 ხვეული დედაკაცები შავი ყორნების ბრბოსავით აიშლებო-
 დნენ და გასწევდნენ მეფის სასახლისაკენ. ისხდნენ მძინარე
 ავადმყოფის სარეცელთან, ჩუმ-ჩუმად მუსაიფობდნენ და თავს
 აქნევდნენ. ხან-და-ხან ჩუმი ბებრული სიცილი თუ გაისმოდა
 ხოლმე.

ერთხელ ერთმა იმათგანმა ურჩია მეფეს, თავის სამეფო-
 ში გაეცა ბრძანება, რომ ვინმე სირინოზების და ფერიების
 ენის მკოდნე ებოვნათ და მოეყვანათ. ფერიებს ნამდვილად
 ეცოდინებათ, რა უშველის მძინარე ქალსაო. მეფემ ამას ჯერ
 ყურადღება არ მიაქცია. მეორემ უთხრა, ქალისთვის გული
 რომელსამე ვაქს მოუტაცნია და იმასა სწუხსო. ამიტომ ურჩია
 მოეწვია ყველა სამეფოდან საუკეთესო ვაჟები.

მოიყვანეს ჯერ ხმალ-კაპარკით გამოწყობილი გმირი,
 ახოვანი, შშვენიერი ვაჟკაცი. მოვიდა ეს ვაჟკაცი და პირდა-
 პირ ავადმყოფის სარეცელთან მიიყვანეს. მაგრამ ვაჟკაცი შე-
 ვიდა თუ არა დარბაზში, ფერი ეცვალა. ვაჟკაცობამ უმტყუ-
 ნა. ის საშინელი, გულის მწყველელი სევდა, რომლითაც ჰაე-
 რიციკი გაჟღენთილიყო, ვერ აიტანა მან. ქალმაც ყურადღება
 არც კი მიაქცია მის მოსვლას და მისი გმირული სიტყვები
 სიყვარულისა და სატრფოს სახელით საგმირო საქმეების ჩა-
 დენისა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა.

მერე ურჩიეს მეცნიერების და პოეტების მოყვანა.

მოიყვანეს რიტორი, პიიტი და ფილოსოფოსი. რიტორ-
 მა და პიიტმა, პირველმა პროზით და მეორემ ლექსებით,
 ბევრი შემამკობელი სიტყვა უთხრეს. ისინი ხან შზეზე ლა-
 პარაკობდნენ და ხან მთვარეზე. ქვეყნის მშვენიერებას და
 ღვთის ღიდებას ცის მნათობებს აღარებდნენ, მაგრამ ქალს
 ამათი ლაპარაკიც არ გაუგონია.



ფილოსოფოსმა კი თავისი ლოდიკური თეზისებზე და რეალიზმზე ლაპარაკით იმოქმედა ქალზე, მაგრამ ისე იმოქმედა, რომ საკოდავი ქალი კინალამ ხელიდან სამუდამოდ გამოეცალა თავის მშობლებს: ცივმა ოფლმა დაასხა, გაფითრდა. ეჭიმებს რომ თავის დროზე არ მოეშორებინათ მისთვის ფილოსოფოსი და წამლობა არ ეხმარათ, ველარას უშველიდნენ.

ამან რომ არა არგო რა ქალს, მეფემ მოიგონა ბებრის რჩევა ფერიების და სირინოზების შესახებ, გასცა ბრძანება სამეფოში და მალე მას მოუყვანეს ერთი წელში მოხრილი ბებერი, რომელმაც უთხრა, რომ ფერიებისა და სირინოზების ენა „უკულმა ენააო“. რასაც ისინი იტყვიან, შენ უნდა უკულმა გაიგოო. რადგანაც მეფემ ვერავის ვერ ანდო ამისთანა მძიმე საქმე, ამიტომ თვითონ წავიდა ფერიებთან.

სარიდან მეფემ ზღვის პირას ჩაიარა, დაიმალო შამბნარში და ყური მიიპყრო დაბურულ ტყეს და ზღვის ტალღებს. კარგა რომ შემოღამდა, ზღვიდან ფერიები ნაპირს გამოვიდნენ და ფერხული ჩააბეს, მაგრამ ისე უსიკოცხლოდ და ზანტად სცეკვავდნენ, რომ თვითონვე მოეწყინათ. არც ერთ სირინოზს სახეზე ჩვეულებრივი აღტაცება და სიხარული არ ეტყობოდა. მიანებეს თავი სირინოზებმა ცეკვას, ზღვის პირას ჩამწყრივდნენ და დაიწყეს მუსაიფი.

ამათ მუსაიფიდან სარიდან მეფემ გაიგო, რომ ერთადერთი ხსნა მისი ქალისათვის იმაშია, რომ მეფემ როგორმე გააგონოს მას გედის სიმღერა. „ეს სიმღერაო, — სთქვა ერთმა სირინოზმა, — გულს უპოვის ქალს, აუჩქროლებს სისხლს, ოცნებას მოჰგვრის და სიკოცხლის უნარს გაუღვიძებს. თუ არა და, სულ ასე უნდა იძინოს სამუდამოდო“.

— მერე ვის ეცოდინება გედის სიმღერა, როდესაც გედი ერთხელ მღერის, ისიც სიკვდილის წინადაო? — იკითხა მეორე, უფრო ნორჩმა სირინოზმა.



— აი ჩვენ დაიას დავუგდოთ ყური, ზღაპარს ვეძებთ და იქიდან ვავიგებთ, თუ როგორ შეიძლება ეს მოხერხდეს.

სირინოზები გაინაბნენ, მიწას გაერთხნენ, მთლად სმენად გადაიქცნენ, სარიდანისთვის უჩინარნი გახდნენ. ამ დროს ზღვიდან გამოცურდა ნაპირისაკენ ერთი სირინოზი, მას მოჰყვა მეორე, მესამე... ამათ გააბეს ნელი სიმღერა, ხან ერთად, ხან ცალკ-ცალკე მღეროდნენ. მათ სიმღერაში იქსოვებოდა ზღაპარი.

იქ, სადაც სარიდან მეფის სამფლობელოს მზე ამოდის, არის ბედნიერი ქვეყანა. ველები მწვანედ ბიბინებენ, მუდამ მოცი-ნარი ლაყვარდი დაჰხარის ქვეყანას. ჯანყი არ იციან იქ, თუ რა არის. ყვავილები ღიმილით შესცქერიან მზეს. იქ აყვავებულ კორდებზე მრავალი საქონელი დაიარება, ლალი და მამლარი, და ბედნიერი მწყემსის სალაშური ედება მთის ქედიდან მთელ მიდამოს.

იქ ერთ მიუვალ ადგილას, საუცხოვოდ აყვავებულ მთებ შუა ერთი ტბა არის. არაფინ არ იცის არც იმ ტბის სახელი. არც მისი არსებობა. იქ ცხოვრობდა ოქროს-ჯილოსანი გედი. სპეტაკი და ამაყი დინჯად და წყნარად დაცურავდა იგი ტბაზე. იმ გედის სიმღერა გამკურნავია ყველა ავად-მყოფისა.

იმ გედის სიმღერა არავის არ გაეგონა ჯერ, სანამ მასთან არ მივიდა ერთი ჰატარა მწყემსი. არაფინ არ იცოდა, სად დაიბადა ეს მწყემსი, ვინ იყვნენ მისი დედ-მამა. ის სულ გარე-გარე დადიოდა და ადამიანებს არ ეკარებოდა. ერთად-ერთი მისი სიცოცხლე იყო მისი გრძნეული სალაშური, რომელიც ხან წყაროსავით ჩუხჩუხებდა, ხან სირინოზების სიმღერას იტყოდა. ნიავის ქროლას, ტალღათა ჩქეფას, მდელოს ბიბინს — ყველაფერს ჰხატავდა იმისი კრიმანქული.



ერთხელ ერთი ტბის ტალღამ ჩაუფუჭუნა მას-მასობა ოკროს-ჯილოსან გედის ამბავი. პაწია მაშინვე გაეშურა იმ გედისკენ. გზაზე ცხვრები მიეფანტა, მაგრამ პატარამ ამას ყური არ ათხოვა. გზაზე პატარა შევილდ-ისარი გააკეთა და განაგრძო გზა.

სალამოს ეამმა რომ მოატანა, დაქანცულ ყმაწვილს კორღზე ჩაეძინა. შუალამისას გამოიღვიძა და ელდა ეცა. საშინელი სიბნელე ჩამოსწოლოდა ქვეყანას. ქარი მთა-მთა დანავარდობდა და დაქრილი მხეცივით ღმუოდა. მხეცები არეულიყვნენ და დაძრწოდნენ მწყემსის გარშემო. მათი ცეცხლივით მოელვარე თვალები ხან აქეთ გამოჩნდებოდნენ, ხან იქით. კბილების კაპუნით ხან ერთი მხეცი გაუბრუნდა გვერდზე ყმაწვილს, ხან მეორე.

ყმაწვილი შესდგა, ყური მიაპყრო ხმაურობას. ამ არეულ ხმაურობაში მას მოესმა ოდნავ რალაც ზარის რეკვის მზგავსი ხმა. ეს ხმა მას თითქოს ხსნასა და მყუდროებას უქაღდა. გასწია პატარამ იქითკენ, საითაც ეს ხმა ისმოდა, და მთის წვერს რომ მტრედის ფერი დაედგა, მიაღწია მოყუდროებულ ალაგს. ამას იქით მწყემსმა სიარული ვერ შესძლო და მკვდარივით დაეცა.

როდესაც გამოეღვიძა, მზე საამურად ათბობდა ქვეყანას. საერთო მყუდროებაში ყვავილების სიმღერა და ფრინველების ჟრიამული ისმოდა.

აიარა ყვავილოვანი მთა მწყემსმა, გადაჰხედა მას და სოცხოვო სურათი წარმოუდგა თვალწინ. ფერადად აყვავებულ მთებ შუა ცისფერი ტბა იყო. სუფევდა წყნარი, საოცნებო სიჩუმე.

ყმაწვილმა ყური მიაპყრო ამ სიჩუმეს და მისი იღუმლობის აზრს მიხვდა. ამოიღო სალამური, დაუკრა და ოდნავ შეარყია მისი ხმებით ტბის პირი. ლერწმები აშრიალდნენ, ყვავილებმაც წყნარად დამღერეს.

ამ დროს ოქროს-ჯილოსანი გედი ამაყად შუა ტბაში დასკურავდა. საღამურის ხმა რო ვიიგო, შეკრთა, სიხარულით ფრთები აათამაშა, მობრუნდა და ყმაწვილს მიაჩერდა.



ყმაწვილმა მომართა მშვილდ-ისარი და შიგ გულში მოარტყა გედს.

გედმა თავი ოდნავ გვერდზე გადაჭხარა და დინჯად მოცურდა ნაპირისაკენ.

იქ ერთხელ კიდევ შეინძრა, ფრთები შეაფრთხილა, და ცოტა ხანს უკან ნაპირზე გამოვიდა საოცნებოდ მშვენიერი ქალი. მივიდა ყმაწვილთან, მოჭხვია ხელები, კალთაში ჩაიწვინა და უმღერა სიმღერა, თავისი უკანასკნელი სიმღერა.

შე მეფის ქალი ვიყავ, ფერიებისაგან დატყვევებული.

ფერიებში დამწყველეს, მაჭკიეს გედად და ყინულივით ცივი გული მომცეს. დამწყველეს ფერიებმა და ხანგრძლივი სიცოცხლე მომცეს.

სიცოცხლე იმ დრომდის, სანამ ჩემ გულს სიყვარული არ ჩაატანდა.

შენ მომხიბლვე პირველად და ბედნიერება მომანიჭე.

ახლა ჩემი უკანასკნელი დღე დადგა.

გაფუნები, მაგრამ შენთან დაფრჩები სამუდამოდ.

ჩიავის ნახ ალერსში ჩემ ალერსსა გრძნობდე,

ტალღების ჩქეფაში ჩემ ზღაპრებს ისმენდე!

შენი სალამური იქნება ჩვენ შორის კავშირი.

დაუქარ ხოლმე ჩემი სიმღერა და მიანიჭე ხალხს ბედნიერება და ნუგეში.

შენთვის გადმომიციხა ჩემი მაძიებელი სული.

ეძიე მონაძევავე სული, ვიდრე ქვეყნიერებას არ დაიხსნი,

ვიდრე არ დაიხსნი ყველას სიბნელისაგან, რომელსაც თვით ვერ ამჩნევენ.

ამის შემდეგ ყმაწვილი დაიარება ქვეყანაზე, ხალხს აღარ ერიდება. თუ ვინმე შეხვდა, სალამურის ხმას გაავრცობს და, რაც უნდა განუკურნებელ სენით იყოს იგი შეპყრობილი, გაკკურნავს.

სარიდან მეფემ ეს რომ გაიგო, გაგზავნა კაცები მთელ თავის საბრძანებელში მწყემსის საპოვნელად, მაგრამ ვერსად ვერ იპოვა.

ასე ეძება სარიდანმა მთელ თავის სიკოცხლემში ყმაწვილი, მაგრამ ვერ იპოვა.

ეძებდა მისი შეილიც, შეილისშეილიც, მაგრამ ამოოდ.

სარიდანის სასახლის მიდამოც დაუდაბურდა. ბროლის კოშკს ხავსი მოეკიდა. ხალხი აბლო აღარ ეკარება. სარიდანის ქალს კი კვლავ სძინავს.

ამბობენ, როდესაც პაწია მწყემსი მიადწევს ამ სასახლეს და თავის გედის სიმღერას იმღერებს, ქვეყანა აყვავდება, სიხარული მოეფინება, და ბროლის კოშკში მძინარი ქალიც მაშინ გაიღვიძებსო.

გიგო ნათაძე



ბედის კალოშები

ჰანს ქრისტიან ანდერსენისა



ალაქ კოპენჰაგენში, ბაზრის ახლოს ერთ სახლში დიდი საზოგადოება იყო შეკრებილი. უმრავლესობა მაგიდებთან იჯდა და ბანქოს თამაშობდა. დანარჩენები დიასახლისას შეჰყურებდნენ, — აბა რას იტყვის, რა თამაშობას გამოიგონებს და რა გამოვა ამ თამაშობიდანაო. აქა-იქ ცოცხალი საუბრის ხმა ისმოდა. სხვათა შორის, მოსაუბრეთა ერთ ჯგუფში ძველი დროის, საშუალო საუკუნოების შესახებ ჩამოვიარდა ლაპარაკი. ზოგიერთი ამტკიცებდა, ის დრო ჩვენ დროს ბევრიად სჯობდაო. მსაჯული კნაპი ისე ცხარედ იცავდა ამ აზრს, რომ დიასახლისა მაშინათვე მას მიემხრო. მსაჯულმა განაცხადა — დანიის მეფის ჰანსის დრო უმშვენიერესი და ყველაზე ბედნიერი ხანა იყო ჩვენ სამშობლოს ისტორიაშიო.

სანამ დარბაზში ცოცხალი საუბარია, მოდით გავიღეთ დერეფანში, სადაც სტუმრების პალტოები, ჯოხები, ქოლგები და კალოშები ინახება.

იქ ორი ქალი ზის: ერთი—ახალგაზდა, მეორე—მოხუცებული. უთუოდ იფიქრებდით—აღბად მოსამსახურე ქალები არიან, თავის ქალბატონებს უცდიან, რომ სახლში გამოაცილონო. მაგრამ ვინც ყურადღებით დააცქერდებოდა, მალე შეამჩნევდა, რომ ეს ქალები უბრალო მოსამსახურეები არ იყვნენ: ერთობ ნაზი ხელები ჰქონდათ, თავმომწონედ გამოიციკრებოდნენ და რაღაც თავისებური ტანისამოსი ეცვათ. ეს ქალები ფერიები იყვნენ. უმცროსი არ იყო ბედნიერების ფერია, არამედ ბედნიერების ფერიის მსახურის მოახლე და მხოლოდ მცირე საჩუქრების გაცემა შეეძლო კაცთა გასაბედნიერებლად.

მეორე ქალი ერთობ დინჯად გამოიყურებოდა და შავები ეცვა. ცხადად ეტყობოდა, რომ თავის საქმეს თითონ უძღვებოდა და იცოდა, რომ მხოლოდ ამგვარ საქმიანობას მოაქვს ხოლმე კეთილი ნაყოფი.

ქალები უამბობდნენ ერთმანეთს, როგორ გაეტარებიათ დღევანდელი დღე. ბედნიერების ფერიის მსახურის მოახლეს ამ დღის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო საქმე შეესრულებინა: ვილაცას ახალი ქუდი წვიმისაგან დაუფარავს, ერთ წარჩინებულ არარაობისაგან მეორე წარჩინებულ არარაობისათვის მოკითხვა გადაუცია და სხვა ამისთანები, ხოლო ის საქმე, რომელიც ახლა უნდა შეესრულებინა, რაღაც არაჩვეულებრივი იყო.

— იცი, დღეს ჩემი დაბადების დღეა, — უთხრა ახალგაზდა ქალმა მოხუცებულ ამხანაგს, — და ჩემ პატივსაცემლად ერთი წყვილი კალოში მომანდევს, რომელიც კაცობრიობას უნდა გადაეცე. ამ კალოშების თვისებაა: ვინც ჩაიცვამს, იმ ალაგასა და იმ დროში გადააფრენს, რა ალაგასა და რა დროს

ცხოვრება მისთვის ყველაზე უფრო სანატრელია. მისი ვილი იმ წამსვე ასრულდება და ის ადამიანი ბედნიერად იცხოვრებს ამ წუთი-სოფელში.

— ნუ თუ შენ ეს გულითა გჯერა?— სთქვა შევებთანმა ქალმა:— მე-კი არ მჯერა. არა, ის ადამიანი ძალიან გაუბედურდება და დალოცავს იმ დღეს, როცა ბედის კალოშებს თავიდან მოიშორებს!

— ეს რა ფიქრი მოგსვლია თავში?— მიუგო ახალგაზდა ქალმა.— აი, ახლა ამ კალოშებს კარებთან დავაწყობ: ვინმეს შეცდომით თავისი ეგონება, ჩაიცვამს და გაბედნიერდება.



მსაჯულის თავგადასავალი.

შუალამე გადასული იყო. მეფე ჰანსის დროზე ფიქრში წასულმა მსაჯულმა კნაპმა შინ წასვლა დააპირა; შემთხვევით, თავისი კალოშების მაგიერ, ბედის კალოშები ჩაიცვა და ისე გავიდა ქუჩაში. კალოშების ჯადოსნურმა ძალამ მსაჯული მეფე ჰანსის დროში გადააფრინა, ამიტომ, გამოვიდა თუ არა ქუჩაში, პირდაპირ ტლაპოში ჩაჰყო ფეხი, რადგან ძველ დროში ქუჩების მოკენქვა არ იცოდნენ.

— რა საშინელი ტალახი ყოფილა!— სთქვა მსაჯულმა. — ტროტუარი თითქო ქვესკნელში ჩამძვრალა და არცერთი ფარანი არ ანთია.

მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. დედამიწას ნისლი მოჰყვებოდა. ისე ბნელოდა, რომ თვალში თითი არ იკროდა. ქუჩის კუთხეში კი, ღეთისმშობლის ხატის წინ, ერთი ლამპარი ენთო, მაგრამ ისე მკრთალად ანათებდა, რომ არაფრად იყო ჩასაგდები. მსაჯულმა მხოლოდ მაშინ დაინახა ეს ლამპარი, როცა ხატს დაუპირდაპირდა და გაკვირვებით ცქერა დაუწყო ღეთისმშობლისა და ყრმა იესოს დახატულ სახეებს.

— აქ უთუოდ გამოფენა იქნებოდა, — ფიქრა მსაჯულმა, — და ამ ხატის ჩამოხსნა დაპვიწყებიათ.

ამ ღროს მის წინ გაიარა ორმა ძველ-ღროინდულად ჩაცმულმა კაცმა.

— როგორ გამოწყობილა ეს ხალხი! უთუოდ მასკარადიდან ბრუნდებიან სახლში!

უეცრად დაფებისა და საყვირების ხმა გაისმა და ქუჩას ანთებულ ეინჯილებს შუქი მოეფინა. მსაჯული დააცქერდა და რაღაც უცნაური პროცესია დაინახა. წინ ჯგუფად მოდიოდნენ მუდღეები და რაც ძალა და ღონე ჰქონდათ დაფებისა სცემდნენ. იმათ მოსდევდნენ მუზარადებითა და ჯავშნით გამოწყობილი მეომრები და ხელში შვილდ-ისრები ეჭირათ. პროცესიის შუაგულ ალაგას ვიღაც წარჩინებული სასულიერო პირი მოაბიჯებდა. გოცებულმა მსაჯულმა იკითხა-რა ამბავია და ვინ არის ეს კაციო?

— მთავარ-ეპისკოპოსი ბძანდება! — მიიღო პასუხად.

— ღმერთო ჩემო, ეს რა უცნაური ფიქრი მოსვლია მთავარ-ეპისკოპოსს? — ამოიოხრა მსაჯულმა და თავი გააქნია.

ღრმად დააფიქრა ამ ამბავმა მსაჯული. გვერდზე არ გაუხედია, ისე გადაიარა ქუჩა და ხილისაკენ გაუღგა. ხიდი, რომლითაც სასახლის მოედანზე გასვლა შეიძლებოდა, არსადა სჩანდა. მკრთალად გამოჩნდა მდინარის სწორი ნაპირი

და მსაჯული ვილაც ორ უცნობ კაცს წააწყდა, რომლებიც ნაეში ისხდნენ.

— ხომ არ გნებათ, ბატონო, გაღმა, ჰოლმში გადაგიყვანოთ!—ჰკითხეს მენავეებმა.

— ჰოლმშიო?—მიუგო მსაჯულმა, რომელმაც არ იცოდა, რომ ამ ეამად ძველ დროში ცხოვრობდა, ძველი კოპენჰაგენის მოქალაქე იყო, —ჰოლმში-კი არა, ქრისტიანის ნავსადგურისკენ უნდა გავიდე. იქ ერთ პატარა ქუჩაზეა ჩემი ბინა.

მენავეებმა გაკვირვებით შეჰხედეს.

— მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, სად არის ხილი?—მომართა ისევ მსაჯულმა.—საოცარია სწორედ. ყველა თარანი ჩამქრალა და ქუჩები ტლაპოთი ავსებულა.

მსაჯულმა დაუწყო ისევ მენავეებს ლაპარაკი, მაგრამ მათი არაფერი ესმოდა.

— რა არის ეს ჰოლმი? სწორედ არაფერი გამეგება თქვენი, —უთხრა ბოლოს და ბოლოს გულმოსულმა მსაჯულმა და მენავეებს ზურგი მიუბრუნა.

ხილს-კი მაინც ვერას გზით ვერ მიაგნო. ჩვეული მოაჯირიც არ იყო თავის ალაგას.

— ფუ, დასწყველოს ღმერთმა!—წამოიძახა მსაჯულმა, —როგორ დამბნევია გზა. ამ საღამოს ყველაზე უფრო საცოდავად ეჩვენა თანამედროვე ხანა.

— ეტლი უნდა დაეიქირავეო და ისე დაგბრუნდე სახლში, —იფიქრა მსაჯულმა:—მაგრამ სად დგანან ეს ეტლები; ერთიკ რომ არა სჩანს. რა გზას უნდა დავადგე. ბაზრის მოედნამდის ფეხით მივალ, იქ ეტლს დაეიქირავებ და დაგბრუნდები სახლში.

მსაჯული დაადგა აღმოსავლეთის ქუჩას. კარგა ხანს იიარა. ამ დროს მთვარე გამოჩნდა.



— ღმერთო ჩემო, ეს რა საკვირველი შენაა! — თავთ ქუჩის ბოლოში? — წამოიძახა მსაჯულმა, როცა აღმოსავლეთის ქუჩის კარები დაინახა, ძველი დროის ხალხისაგან გაკეთებული.

ბოლოს როგორც იყო გავიდა ბაზრის მოედანზე, რომელიც იმ დროს მწვანე ბალახით მოსილი მინდორი იყო. აქა-იქ პატარა ბუჩქები მოჩანდა. შუა ალაგას წყლის დღევანდელი დიდი არხი იყო გაყვანილი. არხის გაღმა ნაპირას რამდენიმე პატარა, საცოდავი ხის ღუქანი იდგა, ჰოლანდიელ მეთევზეების თავშესაფარი. ამ ადგილსაც ამიტომ ჰოლანდიელთა მინდორი დაარქვეს.

— ან რაღაც მოჩვენება შელანდება, ან არა და მთვრალი ვარ, — მწუხარებით წამოიძახა მსაჯულმა. — ამას რასა ვხედავ? ეს რა ამბავია?

ისევ გამობრუნდა და გულში გადასწყვიტა, რომ რაღაც სნეულება შეჰყრია. ქუჩა-ქუჩა რომ გაუდგა, სახლებს მეტი ყურადღებით დააკვირდა. შეამჩნია, რომ უმრავლესობა თხელი ფიცრებისაგან აშენებული და ჩალით გადახურული იყო.

— არა, უთუოდ ავად გამხვდარვარ! — ამოიოხრა მსაჯულმა. — მაგრამ ერთი ქიქა არაყის მეტი რომ არ დამიღვეია. მართალია, არაყი ძალიან მწყინს. სწორედ ახირებული მასპინძლობა-კი იყო: არაყი და მოხარული თევზი მოგვართვა დიასახლისმა. როცა შევხვდები, უთუოდ ვეტყვი, რასაც ვფიქრობ. ახლა რომ დავბრუნდე და უამბო, რაც დამემართა? მაგრამ ეს ხომ სირცხვილია და ვინ იცის ამ დროს ამდგარი იქნება, თუ არა.

მაინც იქით-აქეთ დაიწყო ცქერა, მაგრამ თავისი მასპინძლის სახლი ვერსად ვერ დაინახა.

— სწორედ საშინელებაა! რომ ველარ ვცნობილობ ამ აღმოსავლეთის ქუჩას! ერთი ღუქანიც არსადა სჩანს: რაღაც

დაძველებული, საცოდავი, ფარღალა ქოხმახებია; ჩვენი ქალაქი სოფლად გადაქცეულა. ექვი არ არის—აჲდა ვარ. სადაა ჩემი მასპინძლის სახლი? ქვესკნელში ხომ არ ჩამძვრალა? ეს ხომ ის სახლი არ არის. მაგრამ უთუოდ ვინმე ცხოვრობს ამ სახლში. ღმერთო, როგორ აჲდა ვარ!

ბოლოს ერთი სახლის კარებზე დაარაკუნა, რომლის ქუ-ქრუტანიდან სანთლის შუქი გამოკრთოდა. ეს ძველი დროის რესტორანი იყო. იქ სხვა-და-სხვა ხალხი შეკრებილიყო: კოპენჰაგენის მოქალაქენი, შეზღვაურები, რამდენიმე მეცნიერი. ცოცხალი საუბრის ხმა ისმოდა. ახალ-მოსულს არავინ ყურადღება არ მიაქცია.

— უკაცრავად!—მიმართა მსაჯულმა რესტორანის დიასახლისას, რომელიც მას მიეგება:—ერთბაშად აჲდა ვაგხდი. შეიძლება თუ არა ბიჭი გაგზავნოთ და ეტლი მოაყვანიოთ. ჩემი ბინა ქრისტიანის ნავსადგურთანაა.

დიასახლისა კარგად დააქკერდა თვალეში და მხრები შეიშმუშნა. მსაჯულმა გერმანულად დაუწყო ლაპარაკი. იფიქრა, ეს ქალი უთუოდ დანელი არ არისო, ამიტომ თავისი სურვილი გერმანულ ენაზე გამოსთქვა. მსაჯულის სიტყვებმა და მისმა ტანისამოსმა დაარწმუნა დიასახლისა, რომ ვიღაც უცხოელთან ჰქონდა საქმე. მალე-კი შეატყო, რომ სტუმარი უქეიფოდ იყო და ერთი ჭიქა წყალი მოუტანა. წყალი თუმც კიდან იყო ამოდებული, მაგრამ როგორღაც ზღვის წყლის გემო ჰქონდა.

მსაჯულმა თავი ხელებზე დააყრდნო, ღრმად ამოისუნთქა, თვის გარეშემო უცნაურ სანახაობას თვალი მოავლო და დაფიქრდა.

— ეს დღევანდელი ვაზეთი ხომ არ არის?—ჰკითხა მან დიასახლისას, რომელმაც რაღაც ქალიღლი გადასდო განზე.



ქალმა ვერ გაიგო, რა უნდოდა მსაჯულს და გაუწოდა. ეს სურათი იყო: დახატული იყო ქალმა ძველ დროში გამოცხადებული მოჩვენება.

— ეს ძალიან ძველი სურათია!—სთქვა მსაჯულმა და კარგ გუნებაზე დადგა, რადგან შემთხვევით ასეთ ძვირფას ძველ ნაშთს მიაგნო.—სად გიშოვიათ ეს საყურადღებო სურათი? თუმც ზღაპარია აქ დასურათებული, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა. ამგვარ მოჩვენებას დღეს უბრალოდ განმარტავენ,—ელექტრონის ძალას აწერენ.

სტუმრები, რომლებიც მსაჯულის ახლოს ისხდნენ, გაკვირვებით დააცქერდნენ. ერთმა მათგანმა მოწიწებით ქუდი მოიხადა და მეტის-მეტად დინჯი კილოთი მიმართა მსაჯულს:—თქვენ უთუოდ ძალიან ნასწავლი კაცი ბძანდებით, ბატონო!

— რასა ბძანებთ, ბატონო!—მიუგო მსაჯულმა:—არაფერი დიდი ცოდნა არა მაქვს.

—თავმდაბლობა—სათნო კაცის უმშვენიერესი სამკაულია!—უთხრა უცნობმა კაცმა:—თქვენ სიტყვებს რომ უკვირდები, ამ საგანზე სრულებით სხვა აზრისა ვარ, მაგრამ არ შემიძლია კი ჩემი სიტყვების დატინებით განმეორება.

—ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ, ვინა ბძანდებით: სასიამოვნოა თქვენი გაცნობა,—უთხრა მსაჯულმა.

—ღვთის მეტყველების კანდიდატი გახლავართ,—მიუგო უცნობმა.

ამ პასუხმა საესებით დააკმაყოფილა მსაჯული. უცნობი კაცის ტანისამოსი ამ ადამიანზე ზედ გამოკრილი იყო.

„ვინმე სოფლის მასწავლებელი იქნება“, იფიქრა მსაჯულმა: „ადამიანთა იმ განსაკუთრებულ ჯიშს ეკუთვნის, რომელიც აქა-იქ კიდევ მოიძებნება ჩვენ სამშობლოში.“

—მართალია, აქ სამეცნიერო კამათისათვის შესაფერი ადგილი არ არის, მაგრამ მაინც გთხოვთ განაგრძოთ სიტ-



ყვა, — უთხრა კანდიდატმა მსაჯულს. — გატყობთ, რომ მწერლობა საფუძვლიანად შესწავლილი გქონიათ.

— არც ისე, თქვენ რომ ფიქრობთ! — მიუგო მსაჯულმა: — მე სიამოვნებით ვკითხულობ ძველ სასარგებლო ნაწერებს, მაგრამ ახალი მწერლობის მეგობარიც ვარ. მხოლოდ ზოგიერთმა ახალმა ნაწერებმა, სწორე მოგახსენოთ, თავი მომაბეჭრა.

— რა ახალმა ნაწერებმა? — ჰკითხა კანდიდატმა.

— აი, ამას წინად რომ ახალი რომანები გამოსცეს.

— ოჰ, — გაიღიმა კანდიდატმა: — ამ ნაწერებშიაც ზოგჯერ ვამჰკრიახი გონების სხივი გამოკრთის ხოლმე. მეფის კარის კაცებიც სიამოვნებით კითხულობენ ამ ნაწერებს. მეფესაც ვანსაკუთრებით უყვარს ტვენტისა და გაუდიანის ცხოვრების აღწერა, რომანი, სადაც მოთხრობილია მეფე არტურისა და რვეალი მაგიდის რაინდების თავგადასავალი.

— ეს წიგნი მე ჯერ არ წამიკითხავს, — სთქვა მსაჯულმა. — უთუოდ ახალი წიგნი იქნება, ჰეიბერგის გამოცემული.

— არა, — მიუგოთ კანდიდატმა: — ჰეიბერგის-კი არა, გოტფრიდ ფონ გემენის გამოცემაა.

— რასა ბძანებთ? — სთქვა მსაჯულმა: — ეს ხომ ძალიან ძველი სახელია; ასე ერქვა დანიის პირველ მესტამბეს.

— მართალს ბძანებთ: ეს ჩვენი პირველი მესტამბეა, — მიუგო კანდიდატმა.

ჯერ-ჯერობით საქმე გვარიანად მიდიოდა. ერთმა იქ დამსწრე მოქალაქემ დაიწყო ლაპარაკი საშინელი შავი ქირის შესახებ, რომელმაც რამდენიმე წლის წინად მუსრი გაავლო დანიას. ეს კაცი 1484 წლის შავ ქირს გულისხმობდა. მსაჯულმა იფიქრა, უთუოდ ხოლერაზე მსჯელობენო და გაერია ლაპარაკში. 1490 წელს მომხდარი ბრძოლა ზღვის ყაჩა-



ლებთან ისე ახლო დროს ეკუთვნოდა, რომ უკვე აღარ შეჭებოდნენ საუბარში. ერთმა დამსწრეთაგანმა სთქვა, ინგლისელმა ზღვის ყაჩაღებმა რამდენიმე გემი ჩაიგდეს ხელში ნავსადგურის ახლოსაო. რადგან მსაჯული 1801 წელს მომხდარ ამბების მოწამე იყო, სიამოვნებით აამაღლა ხმა ინგლისელების წინააღმდეგ. შემდეგ საუბარი უცნაურად აირია. ყოველ წუთს ახირებული გაუგებრობა იჩენდა თავს. კანდიდატმა დიდი უმეცრება გამოიჩინა და მსაჯულის უბრალო სიტყვები მეტის მეტად გაბედულ და უღვთო მსჯელობად მიიჩნია. მტრულად აათვალისწინა-ჩამოათვალისწინა ერთმანეთი, ერთმანეთის არაფერი ესმოდათ. კანდიდატმა ლათინურად დაიწყო ლაპარაკი, იქნება ამ ენაზე მეტი რამ შევავსებო ჩემ მოსაუბრესაო; მაგრამ საქმეს ამით არაფერი ეშველა.

— როგორ ბრძანდებით?—ჰკითხა დიასახლისამ და მსაჯულს სახელოზე მოსწია. მსაჯული გონზე მოვიდა და გაახსენდა ყველაფერი, რაც ცხარე საუბრის დროს დაჰვიწყებოდა.

— სადა ვარ, ღმერთო ჩემო!—სთქვა მან და უეცრად თავბრუ დაესხა.

— აბა არაყი და ბრემენის ლუდი დავლიოთ!—წამოიძახა ერთმა დამსწრეთაგანმა:—თქვენც უნდა მიირთვათ!

გამოვიდა ორი უცნაურად თავდახურული ახალგაზდა ქალი, დაუსხეს სტუმრებს ჭიქებში არაყი და ყველას თავი დაუკრეს.

მსაჯულს ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— ეს რა ამბავია, რა მემართება?—გკითხებოდა მსაჯული თავის თავს და ამავე დროს ძალა-უნებურად, სხვებთან

ერთად, არაყს სვამდა. იმედი გადაუწყდა და როცა ერთმა დამსწრემ უთხრა, ახლა კი მთვრალი ბრძანდებითო, ექვიც არა ჰქონია, რომ ეს კაცი მართალს ამბობდა. როცა მსაჯულმა ისევ სთხოვა დიასახლისას, რომ ეტლის მოსაყვანად ბიჭი გაეგზავნა, ყველამ ისეთი თვალით შეხედა, თითქო ის რალაც უცნაურ ენაზე ლაპარაკობდა.

მსაჯულს თავის დღეში არ ჰქონია ასეთ გაუნათლებელ და ბრიყვ ხალხთან საქმე. „კაცს ვგონება, რომ ისევ წარმართობის დრო მობრუნებულა ჩვენშიო“, — იფიქრა მან. — „ასეთი საშინელი წუთები ჩემს დღეში არ გამომიცდია“.

ერთბაშად მან რალაც მოაფიქრა და სხვებისათვის შეუმჩნევლად წაიკუხა: მაგიდის ქვეშ გაძრომა და ქუჩის კარებში გაპარვა უნდოდა. დამსწრეთ დროზე შეუტყვეს განზრახვა, ფეხებში სტაცეს ხელი, მისდა საბედნიეროდ, — კალოშები ხელში შერჩათ და კალოშებთან ერთან მსაჯულს ჯადოც მოეხსნა.

მსაჯულმა გარკვევით დაინახა მის თვალ წინ ანთებული ქუჩის ფარანი და ამ ფარნის უკან ლამაზი დიდი შენობა. იმ წამსვე იცნო ეს სახლიცა და მის გვერდით სხვა სახლებიც: ეს აღმოსავლეთის ქუჩა იყო, იმ სახით, როგორც ის დღეს არის. მსაჯული ქუჩაში იყო გაშლართული და ფეხები სახლის კარებისაკენ ჰქონდა. მის პირდაპირ ქუჩის პოლიციელი იჯდა და სთვლემდა.

— ღმერთო დიდებულო! ნუ თუ ამდენ ხანს ქუჩაში ვეგდე და სიზმარში ენაზე ეს ყველაფერი? — სთქვა მან. — ეს ხომ ნამდვილად აღმოსავლეთის ქუჩაა, ლამაზად განათებული. რა შესძლებია ერთ ქიქა არაყს, — როგორ საძაგლად მოქმედობს ჩემზე.

ორი წუთის შემდეგ ის ეტლში იჯდა და ნაფსადგურისაკენ მიდიოდა. თვალ წინ წარმოუდგა მთელი ის სიმწარე და შიში, რომელიც მან გამოიარა და გულით დალოცა ბედნიერი აწმყო, ჩვენი დრო. მართალია—ჩვენ დროს ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მაინც ბევრად სჯობს იმ ხანას, რომელიც ახლა გამოვიარეთ,—ფიქრობდა თავის გულში მსაჯული და, როგორც ხედავთ, უკუკურდ არ მსჯელობდა.

ილია ნაკაშიძე.



ორი გამოგონი

(იგავი).



რთმა ხელმწიფემ თავის საბრძანებელში გამოაცხადა: „ვინც ჩემ ქვეშევრდომთაგანი ფრიად შესანიშნავს და ქვეყნისთვის სასარგებლო რასმეს გამოიგონებს ანუ აღმოაჩენს, იმას ისე დავასაჩუქრებ და დავაწინაურებ, რომ ქვეყანა შენატროდესო“.

გავიდა ხანი და ხელმწიფის სასახლეში ორი კაცი მივიდა. ერთმა მოახსენა:

— მე ადამიანის სწეულებათა საწინააღმდეგოდ ისეთი საშუალება გამოვიგონე, რომ ამიერიდან ვერც შავი ქირი, ვერც ხოლერა, ვერც სახადი და ვერც სხვა ამითზე კიდევ უსაზარელესი ავადმყოფობა კაცს სულ მცირე ზიანსაც ვერ მიაყენებსო.

მეორემ სთქვა:

— მე იმისთანა უსაშინელესი ზარბაზანი გამოვიგონე, რომ ერთ გასროლაზე ასი-ათასი კაცის ამოკლელთა შეუძლიანო.

ხელმწიფის ბრძანებით ეს ორი გამოგონება მკოდნე პირებში შეამოწმეს და დარწმუნდნენ, რომ ერთსაცა და მეორესაც სრული ქვეშარიტება უთქვამთ.

მაგრამ ჯილდოს გაღების დროს ხელმწიფე დიდ საგონებელში ჩავარდა:



— არც ჩემი სიტყვის გატეხა მსურს და არც ჩემს სიყვარულს და
 ლობის ჩადენა, — სთქვა იმან — თუ ხალხის მხსნელად — გადამრჩე-
 ნი ქება-დიდებას ღირსია, მის განადგურების მსურველს რა
 საჩუქარი-ღა ეკუთვნისო?

ამაზე ერთმა ვეზირმა მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფე, ტყუილად სწუხართ და ჰყო-
 ყმანობთ, რა არის აქ გასაკირი: ზარბაზნის გამომგონის მიზა-
 ნი ხომ საჩუქრის მიღებაა, შენი — ხალხის კეთილ-დღეობა.
 ვისაც წრფელის გულით უნდა ადამიანის სიკეთე, იმას არ
 შეუძლიან ზარბაზნის მოსპობაზედაც არ იფიქროს, რადგან
 იგი თავის მოქმედებით სხვა კირს არ ჩამოუარდება. ამიტომ
 გამომგონი საჩუქრით დააკმაყოფილე, რომ მით შენი დაპი-
 რება შესრულებულ იქმნას; ხოლო ზარბაზანი ჩამოართვი და
 დაამსხვრიე.

ხელმწიფეს ეს რჩევა მოეწონა და ორივე გამომგონი
 ერთნაირად დააჯილდოვა.

ალ. მირიანაშვილი.





იკემი

(უძღვნი პატივცემულ თანამემამულეს-
სტეფანე სვიმონისძეს ელიძეს)

— მთაში მავალო ირემო,
რად იარები ზარიდი?
— შეუღლე ვინამ შამიკლა,
დავიარები ცალიდა!..

— ირემო, რქებით მწვეწვირო,
ყურებით ლამაზიანო,
ნუ იარები ველიდა,
თავი არ დაიზიანო;
არ გააბარო შეთოფე,
თოფი არ გააბიანო!
ფშაურჩი.



ე

თა არის ჩვენი დედა-
სამშობლო.

ლამაზი მთა, რომე-
ლიც ზეცისაკენ ამაყად
იმიტომ ამართულა,
რომ ქვეყნის შვენება —
მზეს მიახლოვებოდა,
მისი სწორი, ბრწყინ-
ვალე და თბილი ისრე-
ბით საამოდ გამსკვა-
ლულიყო. ის მთა,
რომელიც თვალწარ-
მტაკ მწვეწვითი იმი-

ტომ შემოსილა, რომ დედამიწა დაემწვეწვებინა და ჩვენთვის
საც სარჩო გაეჭინა.



ის მთა, რომელსაც თავის ძუძუდან წყარო ^{მსკადული} იმიტომ გადმოუჩხრიალეზია, რომ სამშობლო მხარისათვის აიაზმა ეპკურებია და განეახლებია.

ის მთა, რომელიც წმინდა, კრიალა ჰაერით იმიტომ შემოსილა, რომ ბარში შეხუთული ჰაერით დაავადებულთა და დაფრდომილთ მკურნალ ზალამოდ მოვლინებოდა.

ის მთა, რომელსაც თვის გულში ქვეყნის სიმდიდრე-მადნეულობა ჩაუმარხავს და სამშობლოს დარაჯად დასდგამია.

ის მთა, რომელსაც ამაყი არწივი თავს დასტრიალებს და მძლავრად ხმოვანი ქარ-ბუქი ქებათა-ქებას უმღერის.

ის მთა, რომელიც უბრალო მომაკვდავის გულს სიამეს ჰფენს და რჩეულ მგოსანთა ჩანვს სანეტაროდ ატღერებს.

ის მთა, რომელიც, დედის ძუძუს შემდეგ, თავისი ყვავილოვან-ხავერდოვანი ზალახით, ახლად გაშლილ კვირტებითა და ფოთლებით, სოკოებითა, სხვა-და-სხვა ხილითა და რკოთი უხვად გვასაზრდოებს.

რამდენი მყუდრო ადგილია აქ, სულო და გულო, სადაც დღე შეფარებული ვართ.

სალამოს ეამს კი ავიყრებით და თოხარკით გავექანებით ხოლმე საძოვრად. შემდეგ, გამაძღარნი, განთიადისას ნელის ნაბიჯით ისევ ადამიანის თვალთაგან მიმალულ მყუდრო სავანისაკენ მივეშურებით. თუ სადმე ადამიანისათვის სრულიად მიუვალაი ადგილი შეგვხვდება, დღისითაც გავდივართ იქ საძოვრად, მით უმეტეს, თუ სადმე მლაშე მიწა, ბიკი გვეგულდება. როგორც მცოხნავთა გვარეულობას, მარტილი პირის ჩასატკბარუნებლად ჩვენც ძალიან გვიყვარს.

ჩვენც ჯოგადი ცხოველები ვართ. ჯოგში ექვსი—თორმეტი სულია: ფურები და ნუკრები. ხარ-ირემი განკერძოებით ცხოვრობს, ვიდრე შეუღლებების ხანა არ დაუღვება ენკენისთვესა და ღვინობისთვეში. მაშინ ხარი ჩაერევა ფურებში, იმორჩილებს ამ სუსტ არსებათ, მათ ბატონპატრონად გრძნობს თავს თითქმის ერთი თვის განმავლობაში.



ამ დროს ხარ-ირემი ერთობ სასტიკი ღ თავმოყვარე
 ლია: ვერც ერთი ფური ვერ გამოაკლდება ჯოგს და ვერ მიატო-
 ვებს თვის, ძალად გაბატონებულ, მეუღლეს, ვიდრე თვით და-
 ქანცული ხარ-ირემი არ გაუდგება თავის გზას და არ დაუთ-
 მობს ასპარეზს მასზე უფრო ახალგაზდა ხარებს.

საასპარეზოდ გამოსულ ხარებს სასტიკი ბრძოლა იქვთ
 ხოლმე ერთმანეთში და მხოლოდ გამარჯვებულს რჩება ბურ-
 თი და მოედანი—ფურების ჯოგი. ამ ბრძოლის დროს ხშირად
 რომელიმე მოპირდაპირე, რქებით განგმირული, ეთხოვება
 წუთი-სოფელს, ზოგჯერ ორთავეს ეს დღე აღგება და ასპა-
 რეზი გარეშე მდგომ ხარსა რჩება.



ხარის საბრძოლი იარაღი, როგორც მოგეხსენებათ, რქე-
 ბია, რომლებითაც ისე გაკვეთენ ხოლმე მეტოქესა და მო-
 ცილეს, როგორადაც კარგად დახელოვნებული მხედარი გან-
 გმირავს შუბითა და მახვილით მასზე მისეულ მტრებს. ხარ-

ირემი ძალიან დაუნდობელია და ერთობ საშიში ჩვენებოდა, მხდალი რომ არ იყოს. სიმხდალე ხომ ჩვენი საერთო თვისებაა. ამიტომაც ჩვენ ჯოგს მუდამ გამოცდილი ფური უდარაჯებს და, თუ საიდგანზე რაიმე საფრთხეს თვალს მოჰკრავს, ფრუტუნითა და წინა ფეხების ბაკა-ბუკით გვაფრთხილებს.

დიდი ჭკუის პატრონად არაინა გეთვლის, მხოლოდ იმოდენი ჭკუა-კი გვაქვს, რომ თავს მოვეუაროთ და უბრალოდ არაფის ხელში არ ჩაუვარდეთ.

მხედველობა, სმენა და სუნის აღება ძალიან განვითარებული გვაქვს: ტყეში პაწია ხმაურობაც არ გამოგვეპარება და ადამიანის სუნს ხომ 600 ნაბიჯის სიშორიდან დავიცემთ ხოლმე. ტანადობა-მოხდენილობით, სიმარდითა და ძალ-ღონით, არ ვიცი—რომელ ცხოველს უნდა ჩამოუვარდეთ. ჩვენი ხორცი კი, როგორც მთელი ქვეყანა ამბობს, გემრიელია. ასე რომ არ იყოს, მაშინ ხომ მგლის, ფოცხვერისა და დათვის მეტი მოსისხლე მტერი აღარ გვეყოლებოდა! რომელი მონადირე გინახავთ, რომ ჩვენი რქებით თავისი სასადილო ოთახი არ დაემშვენებინოს? ჭურჭიც ხომ გაუყიდავი არ დაურჩება ჩვენ მტერს—აე მონადირეს!

ტყეს აფუჭებენო,—წუნსა გვდებენ. ასეც იყოს! მერე რომელი მონადირე გინახავთ, ჩემო ბატონიშვილებო, ტყის მცველადა და მომვლელად? ერთსაც რომ მიჩვენებდეთ, ციხესა და დარბაზს დაგითმობთ. მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ტყის მტერთა შორის ადამიანზე უარესი მთელ დედამიწაზე არ მოიპოვება.

აი, ამაზედაა ნათქვამი „მგელს მგლობა დაუვარდა, ტურამ-კი ქვეყანა დააქციაო“...

ივანე ელიაშვილი.





სამკურნალო ხელოვნება და სახელოვანთქმული მკურნალები

(წერილი მეორე)

IV

იღებულნი ჰიპოკრატის სიკვდილისა და საბერძნეთის
დაცემის შემდეგ სამკურნალო მეცნიერებამ დაიბუდა
ეგვიპტეს სახელოვანთქმულ ალექსანდრიის სკო-
ლაში, სადაც მკურნალობის ხელოვნებას აღმოუ-
ჩნდნენ მფარველებად ეგვიპტეს მეფენი პტოლომეების გვარი-
დან, 301 წლებიდან ქრისტეს შობამდე. ამ მეფეებმა ნება
დართეს მკურნალებს მიცვალებულნი გაეკრათ და გარდა ამისა
უმდიდრესი მუზეუმები დაუარსეს მათ ალექსანდრიის სკოლას-
თან, სადაც მოიპოვებოდა მრავალი საგანი ბუნების სამივე
სამეფოდან.

იმ დროის მკურნალთა და მეცნიერთა შორის აღსანიშ-
ნავია **ჰეროფილი**, რომელმაც პირველმა უმაღლეს ხარისხამდე
აიყვანა ადამიანის სხეულის აგებულების მეცნიერება, **ანატო-
მია**. ჰეროფილი დაიბადა ქ. ხალკედონში (ძვეს მცირე აზიის
კიდეზე, კონსტანტინეპოლის ახლო) და ცხოვრობდა ქ. ალექ-
სანდრიაში, მეფე ალექსანდრე დიდის და მის მემკვიდრეების

პტოლომეების, დროს. მის დრომდე მკურნალებმა მწესებლებს დნენ ანატომიას მხოლოდ ცხოველთა გაჭრით; ჰეროფილი კი მიცვალებულ ადამიანთა გვამებს სჭრიდა და ისე იკვლევდა ადამიანის სხეულის ყოველი ასოს დანიშნულებას და მოქმედებას. მან პირველმა დაამტკიცა, რომ **ნერვები—გრძნობისა და შემეცნების ორგანოებია...**

ჰეროფილეს შემდეგ გაითქვა სახელი **ერაზისტრატმა**, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ადამიანის ტვინის შემადგენლობა-დანიშნულება და განმარტა, რომ ნერვები მართო გრძნობისა და შემეცნების ორგანოები კი არ არის, არამედ თან შოძრაობის იარაღებია.

ეგვიპტე-საბერძნეთიდან სამკურნალო ხელოვნებამ ახლა **რომში** მოიკიდა ფეხი. პირველი მეცნიერი-მკურნალი აქ იყო **არეტეი**. ჰიპოკრატის შემდეგ ეს იყო საუკეთესო მკურნალი ძველი დროისა. ცხოვრობდა ის პირველი საუკუნის დასასრულს და მეორის დასაწყისში ქრისტეს შობის შემდეგ. ყოველი ავადმყოფობა, რომელიც კი არეტეის აწერილი აქვს თავის თხზულებებში, მას შესწავლილი აქვს თვით ავადმყოფებზე. მას მშვენივრად აქვს აწერილი აგრეთვე გავლენა აგებულებისა, ჰაეისა და ჰაერისა ავადმყოფობაზე. ყოველი ავადმყოფობის აღწერას თან დართული აქვს თვით დასწავლებული ორდანოს მობაზულობა. წამლებად სულ უბრალო რამეებს ხმარობდა, და არც ბევრი იყო მათი რიცხვი. მან ასწერა აგრედვე, როგორ უნდა ცხოვრობდეს ავადმყოფი ამა თუ იმ ავადმყოფობის დროს...

არეტეის შემდეგ გაითქვა სახელი **ჰალენმა**. დაიბადა ქ. პერგამში (მცირე აზიის დასავლეთ ნაწილშია) 131 წელს და გარდაიცვალა 201 წელს ქრისტეს შობის შემდეგ. უპირველესი საშუალება დიდხანს სიცოცხლისათვის **ვნებათა შეკავება** არისო,—სწერს ჰალენი თავის თხზულებებში. ჰალენი რამდენსამე წელიწადს ქ. რომშიაც ცხოვრობდა, მაგრამ რადგანაც იგი ვაცილებით მაღლა იდგა სხვა მკურნალებზე თა-

ვისი ცოდნით სამკურნალო მეცნიერებისა, ამიტომ რომის მკურნალებმა ისე შეიძულეს ის, რომ რომის მთავრობასთან დაბეზღობით და სხვა არა საკადრისი საშუალებით აიძულეს იგი მიეტოვებინა ქალაქი რომი და კუნძულ სიცილიაზე გადასახლებულიყო. აქ ჰალენი შეუდგა **სამეცნიერო** შრომას, თავი მოუყარა და რიგზე დააწყო მთელი მაშინდელი ცოდნა სამკურნალო მეცნიერებისა და ამგვარად ისეთი დიდებული წიგნი შეადგინა, რომ მის შემდეგ მთელი 1500 წლის განმავლობაში ეს წიგნი იყო ერთადერთი სახელმძღვანელო მკურნალებისთვის. ამ წიგნიდან სჩანს, რომ მის დროს თვით ექიმებმა არ იცოდნენ, რა დანიშნულება აქვს კუნთებსა, და როგორ ამოძრავებენ ესენი ჩვენი სხეულის სხვა-და-სხვანაწილებსა; არ იცოდნენ მაჯის ცემის მნიშვნელობა მკურნალობაში; არ იცოდნენ, რა კავშირი აქვს მას გულის ცემასთან და სხვა...

რომის იმპერიის დარღვევისა და მოსპობის შემდეგ სამკურნალო მეცნიერება 650 წლებიდან ქრისტეს შობის შემდეგ **არაბებში** აღორძინდა. არაბეთის ხალიფები (მეფენი) კდილობდნენ მიებაძათ ეგვიპტეს სახელგანთქმულ მეფეების, პტოლომეებისათვის, და მრავლად აშენებდნენ ყოველგან სკოლებსა. მაგალ.—მეფე **ჰარუნ-ალ-რაშიდმა (+809 წ.)** დააარსა ქ. ბაღდადში სკოლები, აფთიაქები და საავადმყოფოები, ხოლო მისჲა შეიღმა **ალმუშინმა** დაარსა აკადემია, სადაც მოიწვია მასწავლებლებად მაშინდელი ქვეყნის ცნობილი მკურნალები და მეცნიერები, მაგრამ არაბეთის მეფეებმა მაინც ვერა და ვერ შესძლეს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება; ეს იმიტომ. რომ მაშინ ძლიერ იყო ხალხის ძველ-რბილში გამჯდარი **ფეტიშიზმი** (ნადირთა თუ ფრინველთა და თევზთა თაყვანისცემა) და **მისტციზმი** (ქეშმარიტების შემეყნება არა გონებით, არამედ ზეშთავონებით, რაღაც უხილავ და იღუმალ არსებათა თუ ძალებისაგან).



არაბეთის მკურნალები კმაყოფილდებოდნენ ჰიპოკრატისა და ჰალენისა, თუ სხვა მკურნალების თხზულებათა თარგმანითა არაბულ ენაზე და სრულიად არ ცდილობდნენ ანატომია-ფიზიოლოგიის ღრმად შესწავლით ახალი რამე შეექნათ სამკურნალო ხელოვნებაში. ერთად-ერთი ღვაწლი მათი კაცობრიობის წინაშე ის არის, რომ მათ გადათარგმნეს თავიანთ ენაზე ძველი გამოჩენილი მკურნალების შრომანი და გაავრცელეს იგინი მთელს ევროპასა და აზიაში. ამ დროს ეკუთვნის აგრედვე ბევრი კარგი კარაბადინის შედგენა და გადმოთარგმნა ჩვენს ენაზედაც. შემდეგში ევროპიელებმა კვლავ გადათარგმნეს იგინი ბერძნულად და ლათინურად, მაგრამ ამდენი გადათარგმნა-გადმოთარგმნისა და გადაწერ-გადმოწერისაგან (მაშინ წიგნების ბეჭდვა ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული და წიგნებს პირდაპირ ხელითა სწერდნენ), დიდებულ ჰიპოკრატის და ჰალენის თუ სხვა ცნობილ მკურნალების ნაშრომში იმდენი შეცდომა შეეპარა, რომ დროს მიმავლობაში მათი სწავლანი სრულიად შეირყვნა და თვით მკურნალებისთვინაც კი გაუგებარი გახდა. ხოლო, როცა 1554 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ბიზანტიის იმპერია და კონსტანტინეპოლი და აქაური მეცნიერები ევროპაში გაიქცნენ, ესენი ხელშეორედ შეუდგნენ ძველი დიდებული მკურნალების ნაშრომის თვით მათი დედნით შესწავლას და ამ გზით ძლივს კვლავ აღადგინეს ეს დედანი თავისი პირვანდელი სახით და სრული სინამდვილით...

✓

კაცთ-მოყვარე მკურნალი.

აღმოჩნდა, რომ მარტო ძველ მკურნალთა სწავლით მკურნალობა ვერ იხსნიდა კაცობრიობას ათასგვარ კირისა და სნე-



ულებათაგან, რომლებიც, თითქოს განგებ, ზედიზედ მოყვ-
ლად ეწვია მაშინდელ ევროპას. ბევრი ამ სწეულებათაგანი
ისეთი იყო, რომ ძველ მკურნალებს სახელითაც არ გაეგო-
ნათ, და ამიტომ, რა თქმა უნდა, არც არაფერი მოიპოვებოდა
მათ წიგნებში ამ სწეულებათა შესახებ. ახალ სწეულებათა-
მიზეზი-კი მაშინდელ ევროპაში იყო გახშირებული ომები და
თოფ-ზარბაზნების გამოგონება, რომლებიც სულ სხვაგვარ
ჭრილობებს აყენებდა მეომრებს. ეს იყო მიზეზი, რომ სა-
ჭირო გახდა ახალი, დროს შესაფერი ჰენიოსი-მკურნალის
გამოჩენა, და აი გამოჩნდა კიდევ. ეს იყო საფრანგეთის გამო-
ჩენილი დოსტაქარი **ამბრუაზ პარე**.

ამბრუაზი დაიბადა 1517 და გარდაიცვალა 1590 წ. იგი იყო
ჯარის მკურნალად, და აი აქ გამოიჩინა მან თავისი დამოუ-
კიდებელი ჭკუა და ნიჭი მკურნალობისა. გარდა ამისა იგი
იმავე დროს იყო დიდი კაცთ-მოყვარე და ეს აიძულებდა
დაუღალავად ეზრუნა დაჭრილ ჯარის-კაცთა წვალებათა შემ-
სუბუქებისათვის ხელმარჯვე მკურნალობით. ამ საგანზე-კი წი-
ნედ არაფერ ზრუნავდა. მაგალითად, როცა საჭირო იყო ფე-
ხისა ანუ ხელის მოჭრა, მოჭრის შემდეგ მკურნალები შეუბრა-
ლებლად სდაღვდნენ გადაჭრილ ადგილებს ცეცხლში გა-
ხურებული რკინითა, რომ ამით შეეწყვიტათ სისხლის დენა;
ამას ესენი წარბშეუბრელად ასრულებდნენ.

ამბრუაზმა პირველმა უარი სთქვა ასეთი ბარბაროსული
საშუალებით წამლობაზე და რადგანაც აშკარად ხედავდა,
რომ სისხლი გადაჭრილი ძარღვებიდან გადმოდის, დაწვისა
და დადაღვის მაგიერ შემოიღო ამ ძარღვების შეკვრა ძა-
ფით და ამგვარად სწყვეტდა სისხლის დენას. ამბრუაზი ამით
არ დაკმაყოფილდა და დასწერა წიგნი, რომელშიაც ასწე-
რა ბევრი სხვა საშუალებაც დაჭრილების ადვილად და მალე
მოსარჩენად...



უდიდესი აღმოჩენა ვილიამ ჰარვეისა—სისხლის ბრუნვა.

ფრიად შესანიშნავი და სასარგებლო იყო ბევრი აღმოჩენა ამბრუაზ ჰარესი, მაგრამ ადამიანის სხეულის შინაგან მოქმედების შესახებ კაცობრიობამ მაინც არაფერი იცოდა; მაგალითად, თვით ექიმებმაც არაფერი არ იცოდნენ სისხლის დანიშნულებისა და მის ბრუნვის შესახებ ჩვენ სხეულში. ეს ცნობა ევროპაში პირველად განმარტა და გამოაქვეყნა ინგლისელმა ვილიამ ჰარვეიმ. ჰარვეი დაიბადა 1576 წელს. მისი მშობლები შეძლებული ადამიანები იყვნენ, და როცა ვილიამმა



ვილიამ ჰარვეი უბნის თავის დიად აღმოაჩენას.—სისხლის ბრუნვას ჩვენს სხეულში ინგლისის მეფეს კარლოს პირველს.

დაასრულა სწავლა სამშობლოში, მშობლებმა იგი ახლა იტალიაში გაგზავნეს იქაურ პადუის განთქმულ უნივერსიტეტში სამ-



კურნალო მეცნიერებათა შესასწავლად. სამშობლოში დამბრუნებისას იგი დანიშნეს მკურნალობის პროფესორად კემბრიჯის უნივერსიტეტში. აი აქ აუხსნა მან განცვიფრებულ მსმენელებს პირველად, რომ სისხლის მამოძრავებელი ჩვენ სხეულში არის გული, რომელიც ხან იკუმშება და ხან იშლება: როცა იკუმშება, სისხლი მთელი სხეულისაკენ მიმდინარეობს, როცა იშლება—სისხლი მთელი სხეულიდან ახლა ისევ გულისაკენ მიისწრაფვის. ინგლისის და ევროპის მკურნალები ერთხმად წინააღმდეგენ ჰარვეის ასეთ სწავლასა, მაგრამ ბურუსი და გაუგებრობა მალე გაიფანტა და ყველამ აღიარა სიდიადე ჰარვეის აღმოჩენისა, რადგანაც ეს მისი უბრალო აღმოჩენა საფუძვლად დაედვა სრულიად ახალ მეცნიერებას—ფიზიოლოგიას.

VII

ჯონ ჰენტერი ყიდულობს სხვა-და-სხვა ცხოველებს, რომ გამოიკვლიოს და გამოიძიოს სხვა-და-სხვა კითხვები ჩვენი ჯანმრთელობის შესახებ.

ჰარვეის შრომამ, რა თქმა უნდა, საკმაოდ წინ წასწია სამკურნალო მეცნიერება, მაგრამ მკურნალებს ჯერ კიდევ ბევრი აკლდათ სრულ ცოდნამდე. ამ ცოდნამდე კი მათ დასჭირდათ მთელი 75 წელიწადი ლოდინი, სანამ 1728 წელს დაიბადებოდა ინგლისში **ჯონ ჰენტერი**, ახალი დიადი პიონერი (პირველი დამწყები რომელიმე საქმისა) სამკურნალო მეცნიერებისა. როცა ჯონი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, მას სრულიად არ უყვარდა სწავლა: თამაშობა და ცელქობა ყველაფერს ერჩივნა! ვერა და ვერ დასძლია მან მეტადრე გრამატიკის ის ნაწილი, რომელიც მართლ-წერას შეეხება, თუმცა შემდეგში ბევრი შესანიშნავი თხზულება დაგვიტოვა დოსტაქრობაზე.

პირველად ჯონ ჰენტერმა ხელი მოჰკიდა ^{ერქვესული} ~~დღურგლოში~~ თავისი დის ქმრის საღურგლოში, მაგრამ როცა სიძე გაუკოტრდა, ჯონი წავიდა ლონდონში, სადაც მას ამ დროს ჰყავდა ძმა ვილიამი, ცნობილი მკურნალი. ვილიამი ხშირად კითხულობდა ლექციებს სამკურნალო მეცნიერებიდან და, რადგანაც მისთვის საკირო იყო თანაშემწე, რომ ეჩვენებინა ხოლმე მსმენელებისათვის ესა თუ ის საგანი ანუ სურათი, რომლებზედაც ლაპარაკი იყო ლექციაში, ასეთ თანაშემწედ მან თავისი ძმა ჯონი აირჩია. ჯონი ფრთხილ დაინტერესდა სამკურნალო მეცნიერებით და ბეჯითად შეუდგა მის შესწავლას, 23 წლისა იგი დანიშნეს ექიმად ლონდონის ერთ-ერთ უმთავრეს სავაადმყოფოში, ხოლო შემდეგში—თვით დოსტაქრადაც იმავე სავაადმყოფოში.

თავის დიდ შემოსავალს ჯონ ჰენტერი უმთავრესად ახმარებდა იმ ცხოველების და საგნების ყიდვას, რომლებიც ხელს უწყობდნენ ახალ გამოკვლევებში. ჰენტერი შესანიშნავი გენიოსი მკვლევარი იყო: ის ხან თითონ უკითხავდა ხალხს ლექციებს თავის ახალ აღმოჩენებზე და ხან თავის ძმას ავალეზებდა მის წაკითხვას, ხოლო, როცა ის დანიშნეს მეფის დოსტაქრად, სახელი მისი სწრაფად განითქვა მთელს ევროპაში. მაგრამ ჯონი თავის დღეში არ ამოყობდა თავისი ასეთი წარმატებით და დიდებით. მას თავდავიწყებამდე უყვარდა თავისი ხელოვნება, რადგანაც შეეძლო სიკეთე და შემსუბუქება მოეტანა კაცობრიობისათვის. ვერც ფული და ვერც პატივი ვერ აცდუნებდა მას. საკუთარი ფულით მან დააარსა სამკურნალო და სადოსტაქრო სამეცნიერო მუზეი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ შეიძინა მთავრობამ 150,000 მანეთად. ეს მუზეი შემდეგში ისე გაიზარდა და გაფართოვდა—გამდიდრდა, რომ დღეს უმდიდრეს მუზეუმად ითვლება მთელი დედამიწის ზურგზე, სადაც მკურნალებს თვალით შეუძლიათ ნახონ და შეისწავლონ ყოველი ახალი



თუ ძველი გამოგონება და წამლობის წესი ყოველი მკურნალის მყოფობის შესახებ.

ჯონ ჰენტერი კეთილი, გამბედავი და ნიჭიერი კაცი იყო; იგი ყველას უყვარდა და ყველა დიდ პატივსა სცემდა მას. მაგრამ, თუმცა ასეთი იყო იგი და სხვებს მრავლად არჩენდა, თავის თავი კი ვერ მოირჩინა გულის ავადმყოფობისაგან. ერთხელ ის წავიდა კრებაზე, სადაც უნდა გარჩეულიყო მისთვის საინტერესო საკითხი. ის ცუდად გრძნობდა თავსა, მაგრამ მაინც წავიდა. კრებაზე ჯონმა უთხრა ერთ მეგობარს: თუ კამათი გაცხარდა, მგონი ვერ ავიტანო. წინაღ-გრძნობა გაუმართლდა: კამათი გაცხარდა თუ არა, ჯონმა ვერ აიტანა, აღელდა, აკანკალდა, დაეცა და იქვე გარდაიცვალა, 64 წლისა. ეს იყო 1743 წელს...

VIII

ედუარდ ჯენნერმა გამოიგონა ყვავილის აცრა.

ედუარდ ჯენნერი იყო ჰენტერის მოწაფე. დაიბადა 1749 წელს, გარდაიცვალა 72 წლისა, 1811 წელს. ჯენნერი იყო 21 წლისა, როცა გაათავა სწავლა ჰენტერთან და დაბრუნდა სამშობლოში, სადაც შეუდგა კვლევა-ძიებას სრულიად ახალი საქმისას—ყვავილის აცდენას აცრით, და 1798 წელს, როცა ის 49 წლისა იყო, მიაღწია კიდევ დიდებულ მიზანს.

აქაც ბევრი წინააღმდეგ პირველად ჯენნერს, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ლონდონის 70 პირველ-ხარისხოვანმა ექიმმა შეადგინეს განცხადება და საქვეყნოდ გამოაცხადეს, რომ ჯენნერის აღმოჩენა უდიდესი გამოგონებაა და იმ დღიდან, როდესაც ყვავილის აცრა მთელ დედამიწის ზურგზე გავრცელდება, ყვავილით ავად გახდომა, რომლისგანაც დღეს



ყოველწლივ ასი ათასობით სწყდება ხალხი, სრულდება მოსახლეობა.

ეს განცხადება გადაბეჭდეს ყველა ენებზე და ისეთი ნდობა და აღტაცება გამოიწვია მთელი დედამიწის ზურგზე, რომ ჯენერს ყოველი მხრიდან აუარებელი საპატიო საჩუქრები და ჯილდოები მოუვიდა, ხოლო ინგლისის პარლამენტმა უბოძა თავის დიდებულ თანამემამულეს 300,000 მანეთი.

ივ. როსტომაშვილი.





ჩვენი მტერ-მოუვარენი



ამდენად საყვარელნი არიან ჩვენი ზოგიერთი შინაური ცხოველები, იმდენად საშიშარნიც არიან; რამდენად სასარგებლონი, იმდენად მავნებელნიც. მათგან შეიძლება აღამიანს გადაედოს მრავალი სხვა-და-სხვა სნეულება, მაგალითად—ჯილეხი ანუ ციმბირის კირი, ცოფი, ქოთაო, მუნი, ქეცი, ეხინოკოკი ჭ სხვა.

ხომ შეგიმჩნევიათ, რომ ძაღლს ცხვირზე, შუბლზე ან კისერზე აპქერტლებია კანი, გასცვივანია ბეწვი და ასტეხია ქავილი. იცოდეთ, ამ ძაღლს სკირს ქეცი ან მუნი,—სენი, რომელიც ადვილად გადადის აღამიანზე. ამავე ნიშნებით გამოაჩნდება ხოლმე ქეცი და მუნი სხვა ცხოველებსაც: კატას, თავეს (ცხენს და ძროხას მუნი უჩნდება და არა ქეცი), ესე იგი სცივიათ ბალანი, აუტყდებათ ქავილი და აეპქერტლებათ კანი. ამ დროს აღამიანი უნდა ერიდოს ამ სენით შეპყრობილ ცხოველებს, თორემ ადვილად შეიძლება გადაედოს და კარგა ხანს წამლობა დასკირდება, რომ თავი გაინთავისუფლოს, ხო-



ლო ბევრი მაგალითი ყოფილა იმისი, რომ უექიმოდ და უწამლელად ამ სენს გამოუსალმებია ადამიანი ამ წუთისოფლისთვის.

რა იწვევს ამ სენის გაჩენას, საიდან წარმოსდგებიან ეს სნეულებანი: ქეცი და მუნი?

მათი გამომწვევნი არიან პაწია უჩინარი მცენარენი, რომელნიც სოკოების ჯგუფს ეკუთვნიან, და ისეთივე პაწია ცხოველები,—ტკიპები, რომელნიც ცხოველთა უმდაბლეს საფეხურზე მდგარ ჯგუფს ეკუთვნიან. ესენი ისეთი პატარები არიან, რომ თუ არ მიკროსკოპით, სხვა გზით მათი დანახვა ყოველად შეუძლებელია. საკმარისია, რომ ერთი ამგვარი სოკო ან ტკიპი გაჩნდეს ადამიანის კანზე, ის მსწრაფლ მრავლდება და იწვევს ზემოდასახელებულ სენს. ქეცს იწვევს სხვადასხვა-ნაირი სოკოები, მუნს კი სხვა და-სხვა-გვარი ტკიპები. რადგან ჩვენი შინაური ცხოველები—ძროხა, ძაღლი, ცხენი კატა, ხშირად ჩვენთან იმყოფებიან, ადვილად შეგვყრიან ხოლმე ამ კანის სატკივრებს. ხანდახან საკმარისია ავადმყოფ ცხოველს მარტო შეეხო, ან ხელი გადაუსვა ზურგსა და თავზე, აკოცო, რომ მუნი და ქეცი გადაგედოს. არის რამდენიმე მაგალითი იმისი, თუ რანაირად გადასდებია ადამიანს შინაური ცხოველებისაგან ხსენებული სნეულებანი. მოგიყვანთ შემდეგ მაგალითებს. შვეიცარიის ერთ სოფელში გლეხმა გაკრიკა ქეციანი ძაღლი მაკრატლით, მერმე ამავე მაკრატლით გაუკრიკა თმა თავის შვილებს; რომლებიც სკოლაში დაიარებდნენ; ქეცი შვილებს შეჰყარა, ხოლო ამათ გადასდეს თავის ამხანაგებს—სკოლის შეგირდებს.

მეორე მაგალითი: ერთ საბეთლო სკოლაში შეგირდებმა გაუკეთეს ოპერაცია ერთ მუნიან ცხენს; მუნი გადაედო ცხენისაგან ბევრ მათგანს.

ცხადია ამის შემდეგ, რომ შინაურ ცხოველებს ფრთხილად უნდა მოექცეთ. წამდაუწუმ არ ვარგა კატასთან და

ძალთან თამაში, და თუ თამაშობთ, ყოველი თამაშის დღე საჭიროა საპნით ხელის დაბანა, განსაკუთრებით ქამის წინ.

ქეცი და მუნი მაინცდამაინც ისეთი საშიშო ავადმყოფობანი არ არის, როგორც ბევრი სხვა, რომლებიც ცხოველებიდან ადამიანზე აღვილად გადადის, მაგ. ციმბირის კირი, ქოთაო, კოფი და ეხინოკოკი. იკითხავთ-რათაო? იმიტომ რომ მუნის და ქეცის მორჩენა შეიძლება, თუ დროზე მივიღეთ ზომები, ხოლო მეორე რიგის ავადმყოფობათა მორჩენა-კი, გარდა ცოფისა, არაფრის საშვალეებით არ შეიძლება.

ავილოთ ციმბირის კირი ან ჯილეხი. ეს სენი ყველა ცხოველებს და ადამიანსაც ემართება. მისი გამომწვევი მიზეზი არის ერთგვარი ბაქტერია, რომელსაც მოყვანილობა ჩხირისა აქვს; დანახვა მისი შეიძლება მხოლოდ კარგი მიკროსკოპით.

ამ ბაქტერიებით არის სავსე ჯილეხით დაავადებული ცხოველის სისხლი; საკმარისია ერთი წვეთი ამ სისხლისა მოხვდეს ადამიანს თვალში, ტუჩებზე და ან გაკაწრულ ადგილზე, რომ მსწრაფლ შეექნას ეს სენი. შეპყრობილი ადამიანი ძნელად რჩება.

ასეთივე ძნელი ზეთიქმის განუკურნავი სენია ქოთაო, რომელიც ემართება ცხენს, ვირს, ჯორს და ამათგან ადამიანზე გადადის. ამის გამომწვევი ერთგვარი ბაქტერია არის.

ეს სენი საშინელია მით, რომ ხშირად არ ეტყობა ცხოველებს გარეგნულად, სჭირს თუ არა, და ჩვენც ამის გამო არ უფრთხილდებით მათ: ვსხდებით ქოთაოიან ცხენზე, ვაბამთ ეტლში და ვსვირნობთ, თამამად ხელს ვუსვამთ, ვაღლერსებით და აღარ ვფიქრობთ, თუ რა საფრთხეში ვაგდებთ ჩვენ თავს. საკმარისია ამ დროს ცხენმა დაიფრუტუნოს და მისი ცხვირიდან წამოვდებული დორბლი მოგვხვდეს თვალსა ან ტუჩზე, რომ იმ წამსვე შეგვექნას ქოთაო, ეს საშინე-



ლი სენი, რომლისგანაც ადამიანს სამ დღეში ამოხდება სული. არავითარი წამალი არ მოიპოვება დღესდღეობით ამ სენის წინააღმდეგ.

ძაღლები განსაკუთრებით ცოფს ავრცელებენ, მაგრამ ბევრია მაგალითი, რომ გარდა ძაღლისა ადამიანს ცოფი შეტყობია კატისგან, ცხენისგან, მელისგან, ტურისაგან და სხვ. ცოფის გამომწვევი არიან უჩინარი მიკრობები, რომელთაც გამადიდებელ შუშითაც ვერ დაინახავთ, იმ შუშითაც-კი, რომელიც 3,000 ჯერ აღიდებს სავანს. ცოფის გამომწვევი ბაქტერია ჯერ არ უპოვიათ, მაგრამ მეცნიერების აზრით ყოველ ექვს გარეშეა მისი არსებობა. ცოფი გადაედება ადამიანს ნერწყვის საშვალეებით; როდესაც ცოფიანი ცხოველის ნერწყვი ჩადის გაქრილ სახსარში, ცოფი უსათუოდ შეეყრება ადამიანს. ასე რომ დორბლი ცოფიანი ცხოველისა საფრთხილო და მოსარიდებელია, რადგან თითქმის ყოველთვის იწვევს ცოფს. ხანდისხან ცოფი ძალიან არ ეტყობა ცხოველს, ასე რომ ამ დროს მეტად ადვილია შეუშინველად გადაედება ამ სენისა ცხოველიდან ადამიანზე; ამიტომ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, როდესაც ცხოველებთან ვართ, რომ დაკვირვებით უნდა მოვექცეთ მათ და ყოველგვარი სიფრთხილე უნდა ვიხმაროთ.

უპირველესად ყოვლისა საექვო ძაღლი უნდა გავასინჯინოთ საქონლის ექიმს, ანუ ბეითალს; თუ ცხოველს ცოფიანად იცნობს, ამ ცხოველისაგან დაკბენილმა ადამიანმა დაუყოვნებლივ უნდა მიამუროს თფილისში პასტერის სადგურს, რომელიც იმყოფება პასტერის ქუჩაზე; იქ უცრიან დაკბენილ ადამიანს ცოფს უფასოდ.

თუ ცოფის ნიშნები უკვე გამოაჩნდა ადამიანს, მისი წამლობა შემდეგ ყოვლად შეუძლებელია. თუ ადრე ისარგებლეს აცრით, სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნება: ვერც მაშინ და ვერც შემდეგ ცოფიანისაგან დაკბენა ვერას დააკლებს. გარ-



და ცოფისა, ძაღლისაგან უჩინრად ედება ადამიანს ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც ეძახიან ებინოკოკს. რა არის ებინოკოკი? ეს არის ერთგვარი პაწია ცხოველი, რომელიც ორგვარი სახით ცხოვრობს სხვა ცხოველების ხარჯზე: როდესაც ის ძაღლის წელეებში ცხოვრობს, მას ლენტის მსგავსი ჭიის სახე აქვს, სიგრძით 5 მიკრონია *), აქვს მეტად წვრილი თავი, ყელი და სამ-სახსრიანი კუდი. თავი აქვს შეიარაღებული ოთხი საწუწნავით და დიდი ხორთუმით, რომელზედაც ორიგად ირგვლივ შემოსხმული აქვს კაკუქები. ამ კაკუქების შემწეობით ცხოველი წუწნის საზრდოს ძაღლის წელეებიდან. ხანდისხან ძაღლის წელეებში ათასამდი ებინოკოკი მოიპოვება. ისინი აქ სდებენ კვერცხებს, რომლებიც დრო-გამოშვებით გამოჰყვებიან განაეაღს.

მოხდება ისე, რომ ამ კვერცხს ჩაყლაპავს ადამიანი, ან რომელიმე შინაური ცხოველი (ძროხა, ცხენი, ღორი), და მათ გაუჩნდება მუცელში ებინოკოკი, მხოლოდ სულ სხვა სახით. ცხოველის ან ადამიანის კუჭში კვერცხიდან გამოიჩეება პატარა მიკრობი, რომელიც ხორთუმის საშვალეებით ჰხვრეტს წელეების კედელს, გადადის სისხლის ძარღვებში, შედის ღვიძლში, ფილტვებში, თირკმელებში და იკეთებს აქ ბუდეს. ბუდე წარმოადგენს წყლით გაბერილ ბუშტს, რომელშიაც თვითონ ცხოველი არის მომწყვდეული. ბუშტი იზრდება ისე, რომ ადამიანის თავის ტოლაც უნახავთ. როდესაც ებინოკოკი ძაღლის წელეებში ცხოვრობს, ის ეგრე რიგად მავნებელი არ არის, მხოლოდ იწვევს წელეების ავადმყოფობას—კატარს; ფილტვებსა და თირკმელებში დაბუდე-ბულ-კი მეტად მავნებელია; ადამიანს 3—4 წელიწადზე მეტს აღარ აცოცხლებს, თუ ღვიძლში გაუჩნდა ებინოკოკი და დროზე ოპერაცია ვერ გაიკეთა.

ებინოკოკით დაავადებულ ძაღლს კუდის ძირას ბალანზე ხშირად აქვს ებინოკოკის კვერცხები მიწებებული; ესე-

*) მიკრონი არის ერთი მეათასედი ნაწილი მილიმეტრისა.



ნი გამოჰყვენენ განავალს წელებიდან და მიეწებენ^{საქონლის} ზე. თუ გიყვარს ხელით შენი ძალის ტარება, მასთან თამაში, ამ დროს შეიძლება ხელზე მიგეკრას კვერცი და თუ ხელი არ დაიბანე კამის წინ, საქმელთან ერთად შეყლაპავ ამ კვერცხებს. საკმარისია ერთი კვერცი ჩავიდეს კუკში, რომ ადამიანი ავად გახდეს ამ მეტად საშიშარ სნეულებით. ეს ავადმყოფობა უფრო ხშირად ემართება მონადირეებს, რომლებიც ხშირად არიან ძაღლებთან; აგრეთვე ხშირია ციპირსა და ირლანდიაში, სადაც ძაღლები არა თუ მარტო დარაჯობენ სახლს და ნადირობენ, არამედ მუშა საქონლის მაგიერობას ასრულებენ: იმათ აბამენ ეტლში, ეზიდებიან საქონელს და სხ.

აი, ამისთვის გაფრთხილებთ, ჩემო პატარა მკითხველებო: ფრთხილად მოექეცით შინაურ ცხოველებს. იმას კი არ გეუბნებით, არ შეიყვაროთ ისინი! პირიქით შეიყვარეთ, მოუარეთ, მაგრამ გაფრთხილდით, ^{მაგის არაფერი აწნოთ.}



იტა.



1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ **„ნაკადული“** საქართველოს
საბჭოთაო

„ნაკადული“

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6** მან. ნახევარ წლით—**3** მან. გაგზავნით **3** მან. **50** კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი—**3** მან. გაგზავნით **3** **50** კაპ. მოზრდილთათვის **12** წიგნი—**3** მან. გაგზავნით **3** მან. **50** კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40** კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძისთან ფოსტაში, ჭ სამსონ ყაზაიშვილთან უპრავეაში. **ოზურგეთში** ჭ **ლანჩხუთში**—ლევო იმნაძისთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძისთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძისთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭავაძისთან. **მიხაილოვოში**—გაორგი ნაკაშიძისთან. **უვირილაში**—ნინო ფერაძისთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.